პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება — 5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 219 (1074) ხუთშაბათი 2~~4~~5 სექტემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 219 (1074)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღიური

— ჩინეთის მთავრობის ჯარი კიდევ დაამარცხა სუნ-იატ-სენის ჯარმა.

— გრძელდება ესპანეთის ჯარების უკან დახევა მაროკოში.

— ბულგარეთის მთავრობამ დაატუსაღა თავისი მოწინააღმდეგეთა დიდი უმრავლესობა.

— გერმანიაში დიდ აღელვებას იწვევს [illegible] საქონლის დაბეგვრა საფრანგეთის მიერ.

— წყალდიდობამ [illegible] ქუჩები.

# შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის

შრომის ნაყოფიერების გადიდება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკების განვითარებისა და გაძლიერებისათვის. მთელი მრეწველობის მთავარი დარგები დღეს სახელმწიფოს ხელშია. ამ მრეწველობის გაფართოება, წარმოების მთლიანად გაზრდა დღეს ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომლის დადებით გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკების მომავალი.

მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებით და ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღებით არის შესაძლებელი მუშათა კლასის და მთელი მშრომელი მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე დამოკიდებულია შრომის ხელფასის გადიდებაც და მრეწველობის ნაწარმოებებზე ფასების დაწევა, რომ ის მისაწვდომი გახდეს მშრომელთა ფართო მასებისათვის. ამნაირად შრომის ნაყოფიერების გადიდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და ამიტომაც ეს საკითხი დღეს მთელ საბჭოთა კავშირში ყურადღების საერთო ცენტრშია მოქცეული. ჩვენი პარტიის, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირების და მთელი შეგნებული მუშათა კლასის ცდა მიმართულია შრომის ნაყოფიერების სასურველ დონემდე აყვანისკენ.

ჩვენი მრეწველობის განვითარებას დიდათ უშლის ხელს ჩვენი სამრეწველო დაწესებულებათა ტეხნიკური მოუწყობლობა, მისი გაუმჯობესება ხანგრძლივ მუშაობას და დიდ საშუალებებს მოითხოვს; ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობით, რამოდენიმე წლების განმავლობაში. ელექტროფიკაციისა და ძველი გაცვეთილი მანქანების ახალი მანქანებით შეცვლისთვის დიდი ენერგია და შრომის უნარი უნდა გამოიჩინონ სამეურნეო-სავაჭრო ორგანოებმა და მთელმა სახელმწიფომ.

შრომის ნაყოფიერების გაზრდის მხრივ უკანასკნელ დროს მრეწველობის ზოგიერთ დარგებში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, მაგრამ სასურველ მდგომარეობიდან ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ. შრომის ნაყოფიერება საერთოდ ჯერ კიდევ არა თუ ვერ უსწრებს, ვერც კი უთანასწორდება ომის წინადროინდელ ნორმებს.

შრომის ხელფასის ზრდა გაცილებით უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისრის ამხ. კუიბიშევის ცნობით, ამ მხრივ დიდ შეუფარდებლობას აქვს ადგილი. 1923 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის იანვრამდე საშუალოდ ერთი მუშის ნამუშევარი გაიზარდა მხოლოდ 23,3 პროცენტით და შრომის ხელფასი კი 90 პროცენტით.

ამნაირად შრომის ნაყოფიერების გაზრდა დიდათ ჩამორჩა შრომის ხელფასის ზრდას, რაც დიდათ უშლის ხელს ჩვენი მრეწველობის გაფართოებას.

იმავე კუიბიშევის ცნობით, „კვალიფიციური მუშა თავის 8 საათის სამუშაო დღიდან მხოლოდ 52,9 პროც. ხარჯავს პირდაპირი წარმოებითი მუშაობაზე, დანარჩენი დრო იკარგება დამხმარე მუშაობაზე და შეჩერებაზე". ამნაირად სამუშაო დღის თითქმის ნახევარი უნაყოფოდ იკარგება.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბევრგან 10 და 12 საათის სამუშაო დღე არსებობს, ჩვენში კი საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე და თითქმის ამის ნახევარიც უნაყოფოდ იკარგება.

ეს მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია და მის გამოსასწორებლად საჭიროა ენერგიული კამპანიის გაჩაღება და სათანადო ზომების მიღება. შრომის ნაყოფიერების დონე უნდა დაეწიოს შრომის ხელფასს, 8 საათის სამუშაო დღე მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული. ჩვენი მრეწველობის განვითარებისთვის ამ პირობათა შესრულება აუცილებელია.

ყველა პარტიული და სამეურნეო ძალები, პროფკავშირები და მთელი მუშათა კლასი უნდა შეეცადონ ჩვენი მრეწველობის გაფართოებისთვის ხელის შეწყობას.

ვიმეორებთ, შრომის ნაყოფიერების გაზრდა უმთავრესი საკითხია დღეს, მასზე დამოკიდებულია მთელი ჩვენი მომავალი. მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერებისა და სიმტკიცისთვის თვითეულმა მუშამ და წარმოების ხელმძღვანელმა ენერგიის მაქსიმუმი უნდა გამოიჩინონ.

# კოოპერაცია და გლეხკომები

კოოპერაციის და გლეხკომების შორის დიდ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი ამ რამოდენიმე წლის წინედ ჩვენში. მაგრამ სრულიად საქართველოს გლეხკომების პირველ კონფერენციაზე ამ ორ ორგანიზაციის შორის მოხდა ერთგვარი შეთანხმება. რით იყო გამოწვეული კოოპერაციასა და გლეხკომს შორის უთანხმოება? რა ედვა მას საფუძვლათ?

როგორც კოოპერაციის ხელმძღვანელები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა დარგში მომუშავე ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგები მეტად უკმაყოფილო იყვენ იმით, რომ გლეხკომებმა მოჰკიდეს ხელი ვაჭრობას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მათ იმაში, რომ გლეხკომების პირდაპირ მოვალეობას სრულებით არ შეადგენს ვაჭრობა. გლეხკომების მოვალეობაა, მათი ამოცანაა მოაწყონ საურთიერთო დახმარების საქმე, ერთი-მეორის დახმარება მოაგვარონ ორგანიზაციულად, შრომით, გაჭირვებულთა და დაზარალებულთათვის ნივთიერი შემწეობის აღმოჩენით და სხვ. რაც შეეხება ვაჭრობას, ან სოფლის მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ეს კოოპერაციის საქმეა, მისი ამოცანაა.

მაშ რატომ მოჰკიდა ხელი, რატომ მიიღო თავის თავზე გლეხკომმა ეს მძიმე საქმე? ვისთვის არის საიდუმლო, რომ კოოპერაცია ჩვენში ძლიერ მოიკოჭლებდა. კოოპერატივები ჩვენში მრავლად ეწყობოდენ, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ჰქრებოდენ. წარსულში ამ სამწუხარო მოვლენას ჰქონდა თავისი გარდაუვალი ობიექტიური მიზეზები.

სადაც არსებობს კოოპერატივები, ზოგან ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. გარდა ამისა, განა ცოტაა ისეთი ადგილები, სადაც კოოპერატივი სულ არ არის და მთელი ბაზარი დაპყრობილი აქვს კერძო კაპიტალს.

გლეხკომებმა სავაჭრო ოპერაციებს ცხოვრების კარნახით მოჰკიდეს ხელი. გლეხკომებს ამ მძიმე საქმის შესრულება პირდაპირ მშრომელმა გლეხობამ მოსთხოვა.

მე ამჟამად ხელთ არ მაქვს სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენი ათეული და ასეული ათასი მანეთის მანუფაქტურა და სხვა საგნები არის გლეხკომების საშუალებით ქალაქიდან სოფლად გატანილი და გავრცელებული (მაგალ. შორაპნის გლეხკომმა გაიტანა 120.000 მანეთის, და ოზურგეთის მაზრის გლეხკომმა სხვადასხვა საქონელი 100.000 მან.,) მაგრამ ვიტყვი, რომ გატანილია დიდძალი საქონელი. ეს მაშინ, როდესაც გლეხკომს ხელს უშლიდენ ათასნაირი დაბრკოლებებით.

იყო ბევრი შემთხვევა, რომ იქ, სადაც კოოპერატივი იყო, გლეხკომიც ხსნიდა თავის სავაჭროს, რადგანაც კოოპერატივში ან სულ არ იყო გლეხებისთვის საჭირო საგნები, ან თუ იყო, ძვირათ იყიდებოდა.

ბევრ ისეთ ადგილას გახსნეს გლეხკომებმა სავაჭროები, სადაც **კოოპერაციის ხსენება არ იყო.** რა არის ამ მიმართულებით გლეხკომების მიერ გაწეულ მუშაობაში უარსაყოფი ან საწინააღმდეგო?!

მე მახსოვს ერთი მეტად საპასუხისმგებლო კრება, სადაც განსახილველად მაკრატლის საკითხი იდგა. უკვე მთავრობის მიერ დაწეული იყო ფასები გლეხებისათვის საჭირო საქონელზე, მაგრამ სავაჭრო აპარატი, რომელიც მოქნილად და სწრაფად მიაწოდებდა გლეხკაცებს გაიაფებულ საქონელს, არ გვქონდა. მაშინ ბევრი იმის მომხრეებიც აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა კომკავშირელებისთვის დაგვეკისრებია საქონელი თავის ზურგით მიეტანათ სოფლად ფეხით მოსიარულე ვაჭრების მსგავსათ. აი, როგორ მწვავედ იდგა სოფლისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდების საკითხი.

ამნაირი მდგომარეობის მცოდნე განა უკმაყოფილო უნდა დარჩეს იმ ორგანიზაციით, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქიდან სოფლად საქონლის მოტანას.

კოოპერაცია და გლეხკომები—ეს ორი ორგანიზაცია ერთი მეორეს კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ხელს უშლიდეს, არამედ ეხმარებოდენ, ხელს უწყობდენ და საერთო მტრის დამარცხებაში ერთად უნდა გამოდიოდენ. განა გლეხკომები თავისი სავაჭრო ოპერაციებით კოოპერაციის იდეას სახელს უტეხავენ და ჩრდილს აყენებენ? სრულიადაც არა. პირიქით, გლეხკომებმა სავაჭრო ოპერაციებით დიდი სამსახური გაუწიეს და შემდეგშიაც გაუწევენ საქართველოში კოოპერაციას. რაში გამოიხატება და გამოიხატა ეს სამსახური?

ერთი მხრით გლეხკომებმა თავისი ვაჭრობით არსებულ კოოპერატივებს მუჯლუგუნი წაჰკრეს, ე. ი. აიძულეს ამოქმედებულიყვენ ისინი; მეორე მხრით, და ეს უმთავრესია, გლეხკომებმა კოლლექტიურად საქონლის მიწოდებით, სადაც სულ არ იყო კოოპერატივი, იქაც სოფლის მშრომელ გლეხკაცობაში გაღვიძა ინტერესი და ლტოლვა კოოპერაციისადმი.

სოფლის მცხოვრებლები დღეს უკვე შეჩვეული არიან, რომ საქონლის შეძენა მისთვის უფრო ხელსაყრელია და მოსახერხებელია კოლექტიური ორგანიზაციიდან. ამგვარად გლეხკაცობა თავს აღწევს ჩარჩებს და სპეკულიანტებს და სასოფლო პატარა კოლექტივიდან ის წელი ნაბიჯით გადადის უმაღლესი ფორმის კოლექტივში, ე. ი. გლეხკომიდან სხვადასხვა სახის კოოპერაციაში. გლეხკაცობა რწმუნდება იმაში, რომ შეიძლება საერთო ღონით, შეკავშირებულად ყველა იმის შეძენა, რაც მისთვის აუცილებელია და რასაც მას აწვდიდა კერძო კაპიტალი უფრო ძვირათ და ამასთან ბევრად უვარგის საქონელს.

აქედან აშკარაა, მაშასადამე, ყველასათვის ის ჭეშმარიტება, რომ გლეხკომები თავის ვაჭრობით გზას უკაფავენ და საძირკველს უყრიან სოფლად კოოპერაციის განმტკიცების საქმეს.

გარდა ამისა, გლეხკომები უკვე შეუდგენ სოფლად კოოპერაციის მოწყობას იქ, სადაც არ არის, მხოლოდ სადაც არის, იქ მას ამაგრებენ ღარიბი გლეხების კოოპერაციაში შეყვანით.

როგორ ახერხებენ ამას გლეხკომები?—ისინი თავისი ფონდის საშუალებით იძენენ ღარიბი გლეხებისათვის კოოპერაციის პაის და ამ გზით შეყავთ ღარიბი გლეხი კოოპერატივში.

გლეხკომებმა ვაჭრობას ხელი მოჰკიდეს დროებით და ისინი ამ საქმეს თანდათანობით ხელს შეუშვებენ.

გლეხკომებს და კოოპერატივებს არაფერი აქვთ სადაო და გასაყოფი; ეს ორი ორგანიზაცია ერთი მეორეს დამატებაა, ერთი მეორის შემავსებელია, უნდა იმუშავონ და იმოქმედონ ერთად, შეთანხმებით მშრომელი ხალხის სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ, და საერთო ძალით კისერი მოუგრიხონ კერძო კაპიტალს.

ამის გამო ყველა ვალდებულია გლეხკომების მოწყობას და გამაგრებას ხელი შეუწყოს. გლეხკომების არსებობა სულ არ ეწინააღმდეგება კოოპერაციას. წინააღმდეგ, კოოპერაციის პირდაპირი ინტერესია გლეხკომები არსებობდენ და ძლიერდებოდენ ორგანიზაციულად და ქონებრივად.

გლეხკომებმა დიდი სიმპატია, ნდობა და ყურადღება დაიმსახურეს სოფლის მშრომელ გლეხკაცობაში, გლეხკომები, თავისი მოქმედებით სოფლად როგორც საურთიერთო დახმარების საქმეში, ისე სააღმშენებლო, კოოპერატიულ და განმანათლებელ დარგში, ნერგავენ და ანვითარებენ მშრომელ გლეხკაცობაში ლტოლვას, მიდრეკილებას კოლექტიურ ცხოვრებისაკენ. ამიტომ კოოპერაციამ გლეხკომებს ხელი უნდა შეუწყოს პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით.

მე ვიცი ისეთი „კოოპერატორები", რომლებიც ხალხში ხმებს ავრცელებდენ იმის შესახებ, რომ გლეხკომები „საპნის ბუშტივით გასკდებიანო". ასეთ პირებს კოოპერაციაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მაშ გაუმარჯოს კოოპერაციის და გლეხკომების შეთანხმებულ მუშაობას, მათ მეგობრულ თანამშრომლობას.

**კ. ხომერიკი.**

# პარლამენტარიზმი ოქროს ბრჭყალებში

ამ ცოდვილ ბურჟუაზიულ ევროპაში რა არა ხდება! მაგრამ ყველაზე მეტ „სასწაულს" ისევ ფული ახდენს. ფულს ისეთი ჯადოსნური ძალა აქვს იქ, რომ ყოველ ნიჭზე, ყოველ მოხერხებაზე, ყოველ სამართალსა და კანონზე ბატონობს იგი.

ან რა გასაოცარია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მართლაც პირველი ადგილი ისევ ოქროს ეჭიროს და ყველგან შეჰქონდეს გახრწნა, დაცემა და მოსყიდვა.

მეტადრე საგულისხმიეროა, როცა ეს მოსყიდვა ეხება არა კერძო კაცს ან ჯგუფს, ან რაიმე შემთხვევას—არამედ მთელ ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიტიკურ სისტემას—პარლამენტარიზმს.

პარლამენტარიზმი ხომ თორმეტ თავ სახარებათ აქვთ გულზე დასვენებული ყველა ბურჟუაზიულ და მეორე ინტერნაციონალის პარტიებს. იმის წყალობით აპირობენ კაცობრიობის გაბედნიერებას და ქვეყანაზე სამოთხის დამყარებას.

მაგრამ დღეს რევოლიუციონურათ გამოფხიზლებული მშრომელი ხალხი უკვე კარგად ჰხედავს, თუ რა სიყალბეზე, თვალთმაქცობაზე და მოსყიდვაზე ტრიალებს პარლამენტარიზმი.

ამის ერთ საუკეთესო მაგალითს ვეცნობით ფრანგულ გაზეთ „კოტიდიანში". იქ ცოცხლად არის მოთხრობილი ის ბუნებრივი გახრწნა და კანონიერი მოსყიდვა პარლამენტარიზმისა, რომელიც თანდაყოლილი თვისებაა მისი.

ამ ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ წყობილების გათახსირების გმირათ გამოსულია ისევ უდიდესი ბურჟუა ბარონ მორის როტშილდი.

მთელ „დუნიაზეა" ხომ გავარდნილი როტშილდის სახელი, მას იცნობს ყველა, როგორც უდიდეს სოვდაგარს, ფულის მეფეს. მაგრამ როტშილდმა აღარ იკმარა მარტო სიმდიდრე. მან დეპუტატობაც მოისურვა პარლამენტში. და რახან მოისურვა, შეუძლებელი რაღაა მისთვის. განა ფულით ყველაფერი არ კეთდება!

ფულით შეიძინა მან სრა-სასახლენი, ფულით მოიპოვა სახელი და ბარონობა. ფულის წყალობით გახდა დეპუტატიც. ამაზე ადვილი რაღაა! და შეუდგა ერთგულათ თავის საქმეს.

იმის ბედზე სწორეთ ამ დროს გარდაცვლილა ზემო-პირენეების (საფრანგეთი) ერთი დეპუტატი. არჩევნები ყოფილა დანიშნული 11 მაისში.

როტშილდს წამოუყენებია თავისი კანდიდატურა. აუმუშავებია თავის სასარგებლოთ მთელი შტაბი დაქირავებულთა, მაგრამ პირველათ, როგორც გამოუცდელ კაცს, საქმე კარგათ ვერ უწარმოებია და აკი მარცხით გათავდა მისი განზრახვა.

პირველი დამარცხებით სრულიადაც არ გაუტეხია გული ბარონს. ის დარწმუნებულია, რომ ფულით ყველაფერს მოახერხებს და განსაკუთრებით კი დეპუტატობას.

საამისო დროც ისევ დაუდგა.

გარდაიცვალა მეორე დეპუტატი—წარმომადგენელი ზემო-ალპებისა.

საღერღელაშლილი როტშილდი დროს არ ჰკარგავს. პირენეის მთების შემდეგ ეხლა იგი მიეშურება ალპიის მთებისკენ და იქ წამოაყენებს თავის კანდიდატურას.

ამუშავდება ისევ მთელი შტაბი. თანაც ფულები და ისევ ფულები.

ბოლოს როტშილდმა თავისი შეისრულა. თუმცა ხელმეორე არჩევნები მოუხდა, მაგრამ მაინც გავიდა დეპუტატად.

რისთვის ეტანება ბარონი მაღალ მთებს, ხან პირენეებს და ხან ალპებს?

იქ მწყემსები სცხოვრობენ. უვიცი ხალხია. ღარიბი ხალხია. ფულით ადვილად დაახარბებ ყველას და იაფად მოიგებ უვიცი ხალხის გულს. ბარონს მუდამ ხელი ჯიბეზე აქვს გაკრული. დაელაპარაკება თუ არა ვინმეს—მაშინათვე იძრობს ასფრანკიანებს და მისთავაზებს ხან ერთს და ხან მეორეს.

— აჰა, წადი, ჩემი სადღეგრძელო დალიე!

— ოო, შენ ძროხა მოგიკვდა? აჰა, სხვა იყიდე მაშ!

— შენ ცოლი გარდაგეცვალა? აფსუს! აჰა ასი ფრანკი! აჰა, ათასი! დალიე! მომიგონე! ეგ არის ჩემი ოფლი!

მართლაც ყველა სვამდა, კაფეები სავსე იყო ამომრჩევლებით.

ბარონის დამქაშები დადიოდენ და ასწორებდენ ყველას ანგარიშს და ზოგჯერ წინდაწინაც იხდიდენ ხვალის სახარჯოს.

ფულების ფანტვას ანგარიში არ ჰქონდა.

აგერ ქალებს მოაქვთ ყვავილები. ბარონს უყვარს ყვავილები და ყველას ურიგებს ას-ას ფრანკს. ბავშვები ჰკრეფავენ რკინისგზის პირზე მაყვალს და მიართმევენ. ბარონი არ მიირთმევს მაყვალს, მაგრამ მაინც გამოართმევს და ბავშვებს კი დაურიგებს ოც-ოც ფრანკს.

ბარონი თანაც სცდილობს სულ სადათ მოაჩვენოს თავი ყველას. სადილობს საერთო რესტორანში. შეექცევა საერთო სანოვაგეს. ტანთაც ლამის ყველაზე უარესათ აცვია ამ შემთხვევისთვის თვალების ასაბმელათ.

მაგალითად, ერთ-ერთ საარჩევნო კრებაზე როტშილდი წარმოსდგა შემდეგი სახით: გახუნებული პალტო. უზომოთ დალაქავებული. დაჭულეტილი ულაზათო ქუდი, რომელიც შავ ჩვარს უფრო წააგავს, ვიდრე თავსამოსს. იღლიაში წყლის ბოთლი. ცალ ფეხზე აცვია რეზინის ქალამანი, მეორეზე კი—ყვითელი ფეხსაცმელი. ალბათ ასე უფრო მოიგებს ბრიყვი ხალხის გულს.

საარჩევნო ცენტრ ქალაქ გაპში ბარონი სცდილობს მოინადიროს ყველას გული. არიგებს საჩუქარს საჩუქარზე. მონადირეთა საზოგადოებას—2,000 ფრანკი. მუსიკალურ სასწავლებელს—500 ფრანკი, ღარიბ მოსწავლეებისათვის—500 ფრ., მობურთავეთა საზოგადოებას—5,000 ფრანკი. ყველა სპორტიულ და საზოგადო დაწესებულებებს, ყველა კერძო ადამიანს, ვისაც კი მიუდგება ბარონი—პანტასავით აბნევს ას და ათას ფრანკიანებს.

როდესაც გამოელევა ფულების დასტა—დღეში ოჯერ-სამჯერ გარბის „სოსიეტე ჟენერალის" ბანკში, რომ გამოიწეროს ახალ-ახალი და ისევ ფანტოს ხალხის მოსასყიდათ.

ფულს ხომ არ ზოგავს ბარონი დეპუტატობისათვის, მაგრამ ხანდახან იჭვი ეპარება—ვაი თუ ყველა ვერ მოვისყიდოვო და აქ მიმართავს გულჩვილ აღსარებას, რომ ეგები ამითი მაინც მოალბოს დანარჩენი ამომრჩევლებიც:

— რა ვუყოთ, რომ მდიდარი ვარ. ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის. მე მაინც უბედური კაცი ვარ. მე ოცი წელიწადია ცოლი შევირთე, მაგრამ შვილი არა მყავს. თქვენ ხართ ჩემი შვილები. ეხლა მე მხოლოდ თქვენზე ვიზრუნებ, სხვა არაფრისზე!

სალამოზე კი მოქალაქეთა შორის დაარიგებს 800 დახურულ კონვერტს, სადაც საარჩევნო ბარათთან ერთად ლამაზი ასფრანკიანიც არის ჩაკეცილი.

ამგვარი ხრიკებით ბარონმა ბოლოს როგორც იქნა შეისრულა თავისი სურვილი და გავიდა დეპუტატად.

აქ გასაკვირი არაფერია.

ეს სულ ჩვეულებრივი მოვლენაა ევროპის პარლამენტარულ ცხოვრებაში.

აქ მხოლოდ გასაკვირი ის არის, რომ როტშილდს ბევრათ უფრო მეტი დაუხარჯია ხმების მოსყიდვაზე, ვიდრე ნამდვილათ არის საჭირო.

ნამდვილათ თვითეული ხმა დაფასებულია ხუთ ფრანკათ. ეს არის საშუალო ნიხრი—როგორც იყიდება ყოველ არჩევნებზე ათასობით და ათი-ათასობით ხმები.

მაგრამ ეტყობა როტშილდს მოქიშპეები ცოტა ძლიერი ჰყავდენ და ამიტომ დასჭირდა ასეთი გულუხვობა.

დიაღ, ასეთია მეორე ინტერნაციონალის მრევლის მიერ ხატათა და ჯვარათ დასახული პარლამენტარიზმი, რომელიც ოქროს ვერძს მოუკიდია ზურგზე და საითაც უნდა, იქით უკრავს თავს.

**ფუხარა.**

# საერთაშორისო მუშათა მოძრაობა ფართოვდება

## პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მდივნების კონფერენცია

## პოლონეთის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება სოციალისტურ პარტიის გამყიდველობის შესახებ

## ჰოლანდიაში, საფრანგეთში, პოლონეთში და გერმანიაში გრძელდება მუშების გაფიცვა

### საფრანგეთი

**პარიზი. 23 სექტ. ბორინაჟის გაფიცული სამთომადნო მუშები განაგრძობენ წინააღმდეგობას პროფკავშირების რეფორმისტული ბელადებისადმი, რომელთაც სურთ გაფიცვის დასრულება. სამთომადნო მუშების კრებებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ საგანგებო კონგრესის მოწვევას საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების მიზნით.** თავის მხრით „შრომის გმირთა ფედერაცია" მოუწოდებს სამთომადნო მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ. მხოლოდ „პეპლ" მოითხოვს კონფლიქტების ლიკვიდაციას სამედიატორო სასამართლოს გზით.

**პარიზი**, 23 სექტ. **საფრანგეთის კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების მდივნების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ულოცავს კომინტერნის მეხუთე კონგრესს იმას, რომ მან შესძლო იმ პოლიტიკური ხაზის განმტკიცება, რომელიც დაგვიტოვა ლენინმა. კონფერენცია იწონებს კონგრესის გადაწყვეტილებებს და კისრულობს მათი განხორციელებისათვის ბრძოლას.** კომპარტიის ტაქტიკის და ახალი ამოცანების შესახებ სიუზანა ჟიროს მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათის შემდეგ, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს რა პარტიაში ახალი მემარჯვენე გადახრების გამომჟღავნებას, ჰკიცხავს ასეთ გამოსვლებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ განხეთქილება შეიტანონ პარტიაში და ხელი შეუშალონ პარტიის რეორგანიზაციას ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების პრინციპის მიხედვით.

პარტიის უახლოესი ამოცანების, მისი ბოლშევიზაციის მიზნით, ჩინეთის ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის, საბჭოთა კავშირის ცნობისათვის ბრძოლის, მაროკკოელ აჯანყებულთათვის დახმარების გაწევის და საყოველთაო ამნისტიისათვის ბრძოლის შესახებ რეზოლიუციების მიღების შემდეგ, კონფერენციამ მოისმინა დორიოს მოხსენება კოლონიალურ საკითხის და არმიაში მუშაობის შესახებ; კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე მორანის მოხსენება პარტიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. მონატტის და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების გამოსვლებს არ დაუჭირა მხარი უმრავლესობამ.

### პოლონეთი

**ვარშავა. 23 სექტ. ლიუბლინში დაიწყო მელითონეთა გაფიცვა. გაფიცულია 2.000 მუშამდე.**

ზემო-სილეზიის მუშებმა განაახლეს მოლაპარაკება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ და მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

**ვარშავის მეპურეთა გაფიცვა დამთავრდა მუშების გამარჯვებით. მომატებულია ხელფასი 11 პროცენტით.**

**ვარშავა. 23 სექტ. გაფიცვა ნავთის სამრეწველოების რაიონში გამწვავდა. გაფიცულებს ბრესლავლში შეუერთდენ ელექტრონის სადგურის ქალაქის წარმოებების მუშები. ქალაქს სინათლე არ ეძლევა.**

ვარშავა. 24 სექტ. ვარშავაში დაასაფლავეს მუშა კალინოვსკი, რომელიც გარდაიცვალა ნაცემი პოლიციის მიერ. დასაფლავებაზე გამოცხადდა რამოდენიმე ათასი მუშა. დასაფლავებამ მიიღო ფართო დემონსტრაციის ხასიათი პოლიციის წინააღმდეგ. გზაში სასაფლაოსაკენ დემონსტრანტები თავს დაესხენ ორს საპოლიციო უბანს, დემონსტრანტებმა სცემეს სადარაჯოზე მდგომ პოლიციელს. პოლიციის ცხენოსანმა და ქვეითა რაზმებმა გარეკეს დასაფლავების მონაწილეები.

**ვარშავა**, 23 სექტემბერი. პოლონეთის კომპარტიის ვარშავის კომიტეტმა და პროფკავშირების წითელმა ფრაქციამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „ბუნდი" ეხმარება პოლონეთის სოციალისტური პარტიის მოღალატურ მუშაობას, რომლის კარნახითაც პოლიცია არბევს მუშათა ორგანიზაციებს.

მოწოდებაში ხაზგასმულია, რომ ბუნდი არ ჩერდება მემარცხენე ორგანიზაციების პროვოკაციის წინაშეც კი. მოწოდება აღნიშნავს იმას, რომ მთავრობამ ბუნდოვილების მიერ გაზეთ „რაბოტნიკ"-ში გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით დახურა პროფკავშირები ვარშავაში და დაბეჭდა მათი შენობა ვილნოში.

### ჰოლანდია

**ბერლინი. 23 სექტ. კონფლიქტი ნახშირის მაღაროების მუშებსა და მაღაროების მეპატრონეებს შორის ლიმბურგის ოლქში მწვავდება. მოსალოდნელია გაფიცვამ მიიღოს მთელი ჰოლანდიის სამთომადნო მუშების საყოველთაო გაფიცვის ხასიათი.**

გაფიცულების მოსალოდნელი გამოსვლების შიშით, ზოგიერთი სამრეწველო ოლქების ვაჭრები მატერიალურ დახმარებას აძლევენ სამთომადნო მუშებს და აწვდიან მათ პურს თვითღირებულებით.

### გერმანია

**ბერლინი**, 23 სექტ. **ბერლინში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო მუშების საერთაშორისო ფედერაციის მესამე კონგრესი.** კონგრესზე მონაწილეობენ დანიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ინგლისის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციები.

ბულგარეთის და საბჭოთა კავშირის დელეგატები, მიუხედავათ მათი განცხადებისა, რომ მათ სურთ მიიღონ მონაწილეობა ყრილობაზე, დაშვებული არ იქნენ.

კონგრესმა უდიდესი ყურადღება მიაქცია სასოფლო-სამეურნეო მუშების სამუშაო დღის საკითხს. მიღებული რეზოლიუცია „პრინციპიალურად" უჭერს მხარს 8 საათის სამუშაო დღისათვის ბრძოლას, მაგრამ შესაძლებლად სთვლის მის გადიდებას სხვადასხვა ქვეყნების „განსაკუთრებულ კლიმატიურ და სამეურნეო პირობების მიხედვით".

შემდეგი მუშაობის დროს ხელახლა წამოიჭრა საკითხი ფედერაციაში საბჭოთა კავშირის მიღების შესახებ. ამასთანავე კონგრესი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალი გამოიცვლის თავის დამოკიდებულებას საბჭოთა პროფკავშირებისადმი.

### შვეიცარია

**ბერლინი.** 23 სექტემბერი. ლოზანაში გამართულ შვეიცარიის პროფკავშირთა ყრილობაზე ქ. შაფჰაუზენის დელეგატმა **ბრინგოლფმა შეიტანა რეზოლიუცია მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოთ.** რეზოლიუციის წინააღმდეგ გაილაშქრეს დიურმა და გრეილიხმა, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ პროფმოძრაობის მთლიანობა იშლება წითელი პროფინტერნის მიერ, რომ კომუნისტებს სურთ მთლიანობა იმისათვის, რათა დაიპყრონ პროფკავშირთა მთელი მოძრაობა.

გრეილიხის წინადადებით, ყრილობამ 122 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 50-ისა მიიღო უბრალო ფორმულა მორიგ საკითხებზე გადასვლის შესახებ და კენჭი არ უყარა ბრინგოლფის მიერ წარდგენილ რეზოლიუციას.

### იაპონია.

**ტოკიო, 23 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, ამ დღეებში გაირჩა ნაგანოს პრეფექტურის კომუნისტების საქმე.** ბრალდებულებათ იყვნენ 18 კაცი, რომლებიც, ისე როგორც გუმმას პრეფექტურის 20 კომუნისტი, მიცემული არიან პასუხის გებაში იაპონიაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ცდისათვის. **21 სექტემბერს გაირჩევა 21 კაცის საქმე უკანასკნელებს ბრალად ედებათ კომპარტიის ორგანიზაციის მოწყობა.**

# უცხოეთის პრესა

## მოგონებანი ფრიდრიხ ენგელსზე

გერმანულ ჟურნალ „ველტბიუნე"-ში სათაურით „იუნკერის მოგონებანი" მოთავსებულია ცნობილ გერმანელი კონსერვატიული პუბლიცისტის გელმუნტ ფონ-გერლახის წერილი ფრიდრიხ ენგელსის შესახებ. ჩვენ მოგვყავს ამ წერილიდან, როგორც **დოკუმენტიდან**, რამოდენიმე ადგილი, რომლებიც მოწმობენ **ერთხელ კიდევ** სხვათა შორის იმის შესახებ, რომ ენგელსი იყო **ღრმა მცოდნე სამხედრო საკითხებისაც.**

„პირველი სოციალ დემოკრატი, რომელიც მე გავიცანი — სწერს ფონ-გერლახი—იყო იმავე დროს ყველაზე უფრო შესანიშნავი.

ეს ამბავი მოხდა 1894 წელს, როდესაც მე პირველათ განვიძრახე ინგლისში წასვლა:

ჩვენ „სოციალურკონსერვატიულ კლუბში" ბერლინში ვისხედით რამოდენიმე კაცი. აქ იყვნენ: ბარონ ფონ-უნგერნ-შტერნბერგი გაზეთ „კროიცცაიტუნგი"-ს რედაქტორი, შემდეგ რუდოლფ ფონ-მოში გაზეთ „დოიჩე ჰანდელსბლატი"-დან და სხვები. აქვე იყო, სხვათაშორის, მთავარი გენერალური შტაბიდან მთელი მემარჯვენე პრესისათვის ყველაზე უფრო ავტორიტეტული მცოდნე სამხედრო საკითხებისა, მაიორი ვაკსი. და აი მან მითხრა მე: „თუ თქვენ მართლა ჩახვიდეთ ლონდონში, უეჭველათ ინახულეთ ჩემი მეგობარი ფრიდრიხ ენგელსი"-ო.

მე გამაკვირა ამ სიტყვებმა. ვიფიქრე: ნუ თუ შესაძლებელია, რომ ერთათ ერთი დღეს ცოცხალი გმირი ინტერნაციონალური სოციალიზმისა იყოს მეგობარი გენერალური შტაბის კონსერვატიული მაიორის, მეგობარი სამხედრო სპეციალისტის, ისიც ვიწრო სპეციალისტის, რომელსაც შეუსწავლია საკითხი ბიზერის ნავთსადგურის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ-თქო.

მაგრამ რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ვაკსი ენგელსზე, მით უფრო აღტაცებაში მოდიოდა. ენგელსის პარტიულ - პოლიტიკური ჭვრეტა მე სრულიად არ მაინტერესებს—განაცხადა მან. მაგრამ, როგორც სპეციალისტი სამხედრო საკითხებში, მე ყველა ჩემ კოლეგებზე მაღლა ვაყენებ ენგელსს. არც ერთი მათგანი არ შეედრება მას ცოდნით და ნათელი აზროვნებით. ჩვენ შორის მიწერ-მოწერა არის და ენგელსი სიამოვნებით მიიღებს თქვენ თუ ჩემ წერილს მიუტანთ-ო.

ასეც მოხდა. მართალია ენგელსი არ ლაპარაკობდა ვაკსზე ისეთი აღტაცებით, როგორც ეს უკანასკნელი იმაზე.

ენგელსმა მიმიღო მე, მაშინ ახალგაზრდა კაცი, ძალიან მეგობრულათ და რამოდენიმეჯერ მიმიპატიჟა სახლში, თუმცა პირველ ნახვისათანავე განვუცხადე, რომ მე არ ვიყავი სოციალდემოკრატი და ვეკუთვნოდი კრისტიანულ სოციალისტთა პარტიას.

ენგელსმა მოახდინა ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება. ის იყო ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი; ხშირათ ლაპარაკობდა გერმანიის საქმეებზე და იყო აღშფოთებული პრუსიის რეჟიმით. ღრმა მეცნიერი, რომელიც მნახველებს უფრო სიამოვნებით იღებდა თავის წიგნთსაცავში, საუბრის დროს მოგაგონებდათ სტუმართ-მოყვარე მხიარულ რეინელს. ეს გარემოება ყველაზე უფრო ნათლად შევამჩნიე მე ერთ საღამოს წვეულებაზე, რომელიც მან გამართა თავის ბინაზე გერმანიის სოციალდემოკრატიის რომელიღაც ერთი საარჩევნო გამარჯვების გამო. ასეთი გამარჯვებების შემთხვევაში ის უმასპინძლდებოდა ხოლმე თავის სტუმრებს ლუდით. „ეს წვეულებანი მე მიჯდება საკმაო ძვირათ, რადგან გერმანელ სოციალდემოკრატების გამარჯვება ძალიან გახშირდა უკანასკნელ ხანებში"-ო, განაცხადა მან სიცილით. თანდათან იკრიბებოდენ მისი მეგობრები. აქ იყვნენ: გერმანელები, ჩეხები, უნგრელები, რუსები—სულ თორმეტიოდე კაცი. კამათი ასეთ საღამოებზე შეეხებოდა ინტერნაციონალურ სოციალისტურ მოძრაობის საკითხებს, რაც ჩემთვის ხშირად გაუგებარი იყო"…

# სამოქალაქო ომი ჩინეთში

**ნაუენი.** 24 სექტემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად **ინგლისის და იაპონიის წინადადება ჩინეთის საქმეებში ჩარევის შესახებ** არ ჰპოებს თანაგრძნობას ამერიკის მთავრობაში, რომელსაც მიუღებლად მიაჩნია ყოველგვარი ჩარევა, თუ ამერიკის ინტერესებს რაიმე საფრთხე არ მოელის.



**გენერალი უ-პეი-ფუ**
**სამხედრო პარტიის მეთაური, პეკინის მთავრობის ჯარის სარდალი.**

**ლონდონი.** 24 სექტემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ **კიანგ-სუს პროვინციის ჯარები ემზადებიან დიდი შეტევისათვის ჩე-კიანგის პროვინციის ჯარების წინააღმდეგ.** შეწყვეტილია მიმოსვლა შანხაისა და რანგ-ჩაუს შორის.

**ჰანოვერი.** 24 სექტემბერი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, **უკანასკნელ ბრძოლის დროს ჩჟან-ძოლინის არმიამ ტყვედ წაიყვანა 1200 კაცი მთავრობის ჯარებიდან, ხელთ იგდო 500 თოფი, რამდენიმე ზარბაზანი და მრავალი საომარი მასალა.**

**რომი. 24 სექტ. პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩრდილოეთით ხდება დიდი სამხედრო სამზადისი. მოელიან უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას ჩჟან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს ჯარებ შორის.**

შანხაიდან იუწყებიან, რომ უცხოელთა გემების ნაწილი შეუერთდა უ-პეი-ფუს ფლოტს. ჩე-კიანგის პროვინციის არმია თანდათან უკან იხევს და ამოკლებს თავის ფრონტს. ჩჟან-ძო-ლინის არმია ფეხდაფეხ მისდევს მათ და ამჟამათ უჭირავს ფრონტი შანხაი-გუან-ბინ-ჯოუს ხაზზე.



**ველინგტონ-კუ**
**ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.**

შანხაიდან იუწყებიან, რომ გენერალმა ლიუკმა უარჰყო დროებითი ზავის წინადადება და განაგრძობს ბრძოლას.

# ბრძოლა მაროკკოში

**ლონდონი.** 24 სექტ. „დეილი მეილის" ტანჟერის კორესპონდენტი იუწყება, რომ **ტანჟერში დიდი მღელვარება გამოიწვია 80 შეიარაღებულ კაბილის გამოჩენამ. კაბილები შევიდენ ქალაქში ტანჟერის ნეიტრალურ ზონის გადალახვის შემდეგ.** საერთაშორისო პოლიციამ ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით მიიღო ზომები ინციდენტის თავიდან ასაშორებლად.

**ჰანოვერი. 24 სექტ. ესპანეთის ოფიციალური ცნობა ადასტურებს ესპანეთის რაზმის კრიტიკულ მდგომარეობას მოხარენთან კომუნიკაციურ ხაზზე ტეტუანსა და შეშუანას შორის.**

**რომი.** 24 სექტ. მადრიდიდან მიღებული ცნობით, ესპანეთის უმაღლესმა კომისარმა მაროკკოში გამოაცხადა, რომ **დასავლეთ ზონაში დაიწყება ესპანეთის ჯარების საერთო შეტევა.**

**ჰანოვერი.** 24 სექტ. ესპანეთის დირექტორია აბათილებს ცნობას იმის შესახებ, თითქოს აბდულ ქერიმმა ინგლისის კაპიტალისტებს მისცა ნავთის კონცესიები.

გაბათილებაში ნათქვამია, რომ ნავთის წყაროების ექსპლოატაცია საერთაშორისო საზოგადოების ხელშია და აბდულ ქერიმს „არ აქვს უფლება" ვისმე სხვას მისცეს ეს კონცესიებიო.

# უკანასკნელი ცნობები

### ნარდათ და ბითუმათ

**ვარშავა**, 24 ენკ. ინგლისის ფინანსიური წრეები, რომლებმაც იყიდეს ბელოვეჟის ტყე, ეხლა ყიდულობენ სახაზინო სანავთო ადგილებს.

### მეფე ბორისის მოკვლა.

**რომი**, 24 ენკ. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ მაკედონელების მიერ რილის მთებში თავის კოშკში მოკლულია ბულგარეთის მეფე ბორისი. ალბად, მაკედონელებმა შური იძიეს მეფეზე მაკედონელთა ლიდერების მოკვლის გამო.

### პოლონეთის „საიდუმლოება“.

**ვარშავა**. 24 სექტემბერი. პოლონეთში ჩამოვიდა საფრანგეთის მისია, რომლის ჩამოსვლის მიზანი საიდუმლოთ ინახება.

### სკრჟინსკის განცხადება.

**ვარშავა**. 24 სექტემბერი. უნგრეთის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკრჟინსკიმ განაცხადა: „ურთიერთობა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ამჟამად ნორმალურია და არავითარ კონფლიქტში საბჭოთა კავშირთან არ ვიმყოფებით“.

# ჩვენ და უცხოეთი

### ლოიდ-ჯორჯის სისულელე.

**ლონდონი**. 23 სექტ. შრომის მინისტრმა შოუმ მუშათა დემონსტრაციაზე პრესტონში გააკრიტიკა ლოიდ-ჯორჯის სიტყვა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ და განაცხადა:

— ლოიდ ჯორჯი, რომელმაც 100 მილ. გირვანქა სტერლინგი მიახარჯა სამხედრო მოქმედებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ცდილობს თავი მოგვაჩვენოს დიდ ეკონომისტად და გადაარჩინოს 30 მილიონი, რომლის მიცემა განზრახულია სესხის სახით საბჭოთა კავშირისათვის, რათა აღვადგინოთ ჩვენი საკუთარი ბაზრები. მე ვერ წარმომიდგენია უფრო დიდი სისულელე პოლიტიკურ ისტორიაში, ვინემ ეს არის.

### სჯობია სახლში მოიხედოს.

**მოსკოვი**. 24 სექტ. „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ განაცხადა:

— რეზოლიუცია, რომელიც შეტანილ იქნა ერთა ლიგაში საქართველოს საკითხის შესახებ წარმოადგენს ყოვლად დაუშვებელ და აღმაშფოთებელ ცდას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევისა.

მას, ვისაც შექონდა რეზოლიუცია, ალბად, დაავიწყდა, რომ საქართველო საბჭოთა რესპუბლიკაა უკვე დაახლოვებით 4 წელია. იმ „აჯანყების“ ცდას, რომელიც მოაწყვეს მენშევიკებმა, რეზოლიუცია იხილავს არა როგორც სამოქალაქო ომს, არამედ როგორც ომს ორ თანასწორ უფლებიან სახელმწიფოს შორის. ცხადია, რომ არავითარ ომზე საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის ლაპარაკიც არ შეიძლება.

საქართველოს მშრომელი მასები აღშფოთებით უკუაგდებენ ერთა ლიგის „სამსახურს“ და მოსთხოვენ მის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოებს ყურადღება მიაქციონ „მსოფლიოს სხვა ნაწილებს“, სადაც მათი უღლის და ბატონობის ქვეშ გმინავენ ას მილიონობით კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური მონები.

### ინტერნაციონალის სიმღერით.

**ვარშავა**. 23 სექტ. მუშათა პარტიის მიერ მოწყობილ მიტინგზე ვარშავაში სიტყვით გამოვიდა კომუნისტი კრულიკოვსკი. იგი შეეხო საქართველოში მომხდარ ამბებს და დაახასიათა ეს აჯანყება როგორც თავად-აზნაურული კონტრ-რევოლიუციური გამოსვლა.

კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

### არ მოსწონთ.

**ვენა**. 23 სექტ. რუმინეთის ოფიციალური ორგანო „ვიტორულ“ სწერს, რომ უნგრეთიცა და საბჭოთა კავშირიც თავიანთი შეთანხმებით ახხორციელებენ რაღაც ფარულ მიზნებს. ამიტომ რუმინეთი გაორკეცებულის სიფრთხილით ადევნებს თვალყურს ორთავე მხარის მოქმედებას.

# ტერორი ბულგარეთში

**ვენა**. 23 სექტემ. ბულგარეთში გრძელდება მთავრობის მოწინააღმდეგეთა ხოცვა-ჟლეტა.

მაკედონიის ავტონომიურ ორგანიზაციის ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი კანდარჩოვი მოკლული იქნა ქალაქ პლოვდივოში. მოკლული არიან აგრეთვე ბლახოვი და ვეტერინაროვი, რომელთაც ბრალი ედებათ ალექსანდროვის მოკვლაში. ბურჟუაზიული გაზეთები ილაშქრებენ კომუნისტური დეპუტატის მაქსიმოვის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს, მონაწილეობას იღებდა ალექსანდროვის მკვლელობაში. ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა კალიფოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მთავრობას აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ კომუნისტები რევოლიუციას ამზადებენ ბულგარეთში მიმდინარე წლის სექტემბერში. კომუნისტებს, თითქოს, განზრახვა ჰქონდათ 15 სექტემბერს საბერძნეთის და სერბიის საზღვრებისაკენ გაეგზავნათ ორი ჯგუფი, მაგრამ მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას. მთავრობის პრესა აქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს კომუნისტური საიდუმლო ორგანიზაციების შესახებ.

**ვენა. 23 სექტ. ბულგარეთის კომპარტიამ განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს ნაციონალურ-რევოლიუციონურ ორგანიზაციას, რომელიც იბრძვის ბალკანეთის ბურჟუაზიის და მისი მთავრობების წინააღმდეგ მაკედონიის დამოუკიდებლობისათვის.**

ბულგარეთის კომპარტია უარყოფს ცნობებს იმის შესახებ, თითქოს ის 15 სექტემბრისათვის ამზადებდა აჯანყებას, რომლის მიზანი იყო საბჭოთა მთავრობის შექმნა. კომპარტია უარყოფს აგრეთვე ცნობებს იმის შესახებ, თითქოს, კომუნისტები მონაწილეობას იღებენ ალექსანდროვის მოკვლაში.

**ჟანევერი**. 24 სექტ. ათენიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ფილიპოპოლის მახლობლად, **მატარებელს, რომლითაც პრემიერი მიემგზავრებოდა, თავს დაესხა 20 ბანდიტისაგან შემდგარი ბრბო. მატარებელი გაძარცულია.**

# მდგომარეობა გერმანიაში

**ნაუენი**, 24 სექტ. გერმანიის კაბინეტის სხდომაზე კანცლერმა მარქსმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ფრიტიოფ ნანსენთან მოლაპარაკების შესახებ. სხდომის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ კაბინეტის წევრებმა პრინციპიალურად მიიღეს გერმანიის შესვლა ერთა-ლიგაში იმ პირობით, თუ მოწესრიგებული იქნება გერმანიის მთავრობის მიერ წამოყენებული მთელი რიგი საკითხებისა.

**პარიჟი**, 24 სექტ. „ჟურნალ ოფისიელ“-მა გამოაქვეყნა დეკრეტი გერმანიის ექსპორტის 26 პროცენტიან გადასახადით დაბეგვრის შესახებ. **დაბეგვრილი იქნება ყველა საქონელი, რომელიც იგზავნება გერმანიაში ან სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტით** გერმანიაზე და აგრეთვე საქონელი, რომელიც მოდის იმ ქვეყნებიდან, სადაც გერმანელი მცხოვრებლები შეადგენენ არა ნაკლებ 50 პროცენტს.

**ნაუენი**, 24 სექტ. განზეის კავშირმა მიმართა გერმანიის მთავრობას წინადადებით, რათა არბიტრაჟით იქნას განხილული საკითხი გერმანიის საქონლის 26 პროცენტიანი გადასახადით დაბეგვრის შესახებ.

**ჟანევერი**, 24 სექტ. **ინგლისელ მრეწველთა საზოგადოებამ მიმართა** მაკდონალდს წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საჭიროა დებულ იქნას ხელშეკრულება გერმანიასთან. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ხელშეკრულების ინგლისური პროექტი ითვალისწინებს ინგლისისათვის უპირატესობის უფლების მინიჭებას. ინგლისის დელეგაცია, რომელსაც მინდობილი აქვს მოლაპარაკების წარმოება, მიემგზავრება ბერლინში ამ კვირაში.

**ნაუენი**, 24 სექტ. **ნიუკასტლში შემოუსავლობის გამო დაიხურა ერთ-ერთი დიდი ნახშირის წარმოება. 4000 მუშა უმუშევრად დარჩა. მეწარმოებლები წარმოების შეწყვეტის მიზეზად სთვლიან მაღალ ხელფასს.**

# კონტრ-რევოლიუციონერთა ზრახვების ნაყოფი ხუთი წლის თავზე

## ლეონტიევის შესახვევში მომხდარი აფეთქება

დღეს სრულდება ხუთი წელი მას შემდეგ, რაც ლეონტიევის შესახვევში მოხდა აფეთქება, რომელიც მოაწყვეს კონტრ-რევოლიუციონერ მემარცხენე ესერთა ორგანიზაციის წევრებმა სწორედ იმ დროს, როდესაც ყველაზე უფრო გართულებული იყო მუშების და გლეხების ბრძოლა დენიკინის და კოლჩაკის წინააღმდეგ.

1919 წელს, 25 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე რუსეთის კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის შენობაში, ლეონტიევის შესახვევში, მეორე სართულის ფანჯრიდან ეზოს მხრიდან ჩამოგდებულ იქნა არაჩვეულებრივი გამანადგურებელი ძალის მქონე ბომბა. ჩამოგდებულ ბომბის აფეთქებამ არა თუ დაანგრია მოსკოვის კომიტეტის შენობა, არამედ ჩაამტვრია ახლომდებარე შესახვევებში ყველა სახლების ფანჯრის მინები.

მოსკოვის კომიტეტის შენობაში ამ დროს სწარმოებდა სხდომა მოსკოვის ორგანიზაციის მუშაკთა მონაწილეობით. მოსკოვის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ზაგორსკიმ, რომელმაც დაინახა შენობაში ჩამოგდებული ბომბა, მოინდომა მისი დაჭერა და ამ რიგად ის პირველი მსხვერპლი გახდა. ამხ. ზაგორსკის გარდა, მოკლული აღმოჩნდენ მოსკოვის კომიტეტის თანამშრომელი ქალი ა. ხალხინა, რკინის გზის რაიონის მდივანი ნიკოლაევა, მუშა რაზორანოვი, მოსკოვის საბჭოს წევრი კროპოტოვი, უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელი ტაკუსი, შაბათობათა ბიუროს მდივანი კვაში და სხვები, სულ 12 კაცი. დაჭრილებს შორის, რომელთა რიცხვი აღწევდა 29-დე, იყვნენ ამხ. ნ. ი. ბუხარინი, ე. იაროსლავსკი, მ. ლ. პავლოვიჩი, ოლმინსკი, ი. მ. სტეკლოვი, პელშე, საფაროვი და სხვები. აფეთქების მეორე დღეს მოკლულთა ნეშთები გადმოტანილი იქნენ კავშირთა სახლის „კოლონნი“ დარბაზში, სადაც თავი მოეყარათ მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების მრავალრიცხოვან დელეგატებს. მოკლულთა დასაფლავება მოხდა 28 სექტემბერს ძმათა სასაფლაოზე, წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

იმწამსვე აფეთქების შემდეგ მოსკოვის თავდაცვის კომიტეტმა, რომელსაც მეთაურობდა ლ. მ. კამენევი, გასცა ბრძანება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებისადმი, რათა ყოველივე ზომები მიეღოთ დამნაშავეების აღმოსაჩენად.

საქმის გამოძიება გაგრძელდა ერთს თვეზე მეტი და მხოლოდ ნოემბრის პირველ რიცხვებში თავდაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც ნათელჰყოფდა იმას, რომ აფეთქება მოწყობილი იყო „იატაკქვეშ მყოფ ანარქისტების“ ორგანიზაციის მიერ, რომელიც წარმოადგენდა ნაწილს მეორე გაერთიანებული ორგანიზაციის „რევოლიუციონურ პარტიზანელების სრულიად რუსეთის აჯანყების კომიტეტი“-ს სახელწოდებით. თავდასხმა მოსკოვის კომიტეტზე, როგორც გამოარკვიეს საგამომძიებლო ორგანოებმა, მოხდა მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრთა დავალებით და ხელმძღვანელობით; ერთ-ერთი იმათგანი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ბომბის ჩაგდებაში. თავდასხმაში მონაწილეობა მიიღო სულ 5 კაცმა, რომელთაგან ორი უშუალოდ მუშაობდენ ბომბის გადაგდებაზე, დანარჩენები კი სდარაჯობდენ მათ თავდასხმის დროს.

გამოძიებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ ბომბას ჰქონდა არაჩვეულებრივი გამანადგურებელი ძალა, ის იწონიდა ფუთ ნახევარს. ბომბის ძლიერებას მოწმობს თვით სახლის დანგრევის ფაქტი. მოსკოვის კომიტეტის შენობა განცალკევებული იყო, ის წინად ეკუთვნოდა მოქ. უვაროვას და აგებული იყო ისე, როგორც საერთოდ აშენებდენ ძველი დროის მდიდრულ განცალკევებულ სახლებს. აფეთქების ძალამ დაანგრია სავსებით სახლის უკანა ნაწილი, ხოლო იმ ოთახში, რომელშიაც ჩაგდებულ იქნა ბომბა, გაკეთდა ვეებერთელა ხვრელი, დაახლოვებით 4 არშინის სიგანით.

საგამომძიებლო ორგანოებმა აფეთქების საქმის შესახებ გამოარკვიეს აგრეთვე, რომ „იატაკ-ქვეშ მყოფ ანარქისტების“ მთავარი სამყოფი ბინა იყო სად. კრასკოვში, მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე; იქვე მოწყობილი იყო ქიმიური ლაბორატორია და არალეგალური სტამბა, რომელიც უშვებდა „რევოლიუციონურ პარტიზანელების აჯანყების კომიტეტის“ ორგანოს—„ანარქია“.

ღამით 4— ნოემბერს იმ აგარაკს რომელიც ეჭირათ კონტრ-რევოლიუციონერებს, გარს შემოერტყენ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის აგენტები, რომლებმაც წინადადება მისცეს შიგნით მყოფთ დანებებოდენ. ამაზე საპასუხოდ უკანასკნელებმა ასტეხეს ძლიერი სროლა რევოლვერებიდან და გადმოისროლეს ბომბები, რომლებითაც დაშავდენ საგანგებო კომისიის რაზმის ზოგიერთი თანამშრომლები.

სროლა 2 საათი გაგრძელდა, ამის შემდეგ აგარაკის შიგნით მყოფებმა, რომელთაც, ალბად, გამოელიათ ტყვიები, ააფეთქეს სახლი ჯოჯოხეთური მანქანით, აფეთქებისაგან ნაცარ-ტუტათ იქცა მთელი შენობა. ხანძარის დროს დაიღუპნენ თვით ორგანიზაციის წევრებიც.

აგარაკის აფეთქებას [illegible] აგრეთვე ლეონტიევის შესახვევში მომხდარ აფეთქების საქმის გამო წინად დაპატიმრებულ პირებს აღმოაჩნდათ რუსეთის კომპარტიის მოსკოვის და სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკების სიები, ცნობები იმის შესახებ, თუ როდის ღებულობდენ ისინი ხალხს საქმისთვის, როდის დადიოდენ ქუჩებში და სხვ.

ამ ობიექტიური ცნობებით და აგრეთვე დაპატიმრებულთა ჩვენებით შესაძლებელი გახდა იმის გამორკვევა, რომ „იატაკქვეშ მყოფ ანარქისტების“ ორგანიზაციას განზრახული ჰქონდა მოეხდინა მთელი რიგი ტერორისტული აქტებისა, რომელთაგან პირველი იყო აფეთქება ლეონტიევის შესახვევში. პასუხისმგებელ მუშაკებზე თავდასხმებს გარდა, როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, ეს კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია ეწეოდა საბჭოთა ორგანიზაციების და დაწესებულებების ძარცვას.

ლეონტიევის შესახვევში აფეთქებული სახლი დაახლოვებით 2 წლის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული. შემდეგ შენობა შეკეთებულ იქნა და მის წინა კედელზე მარჯვენა მხრიდან გაკრულ იქნა თეჯის ფიცარი, რომელზედაც წარწერილია აფეთქების დროს მოკლულთა გვარები.

ამჟამად ამ შენობაში მოთავსებულია პოლიტიკურ ემიგრანტების ინტერნაციონალური კლუბი, „პოლიტიკური განათლების მუშაკის კაბინეტი“ და ჟურნალ „მოლოდოი ბოლშევიკ“-ის რედაქცია.

# ჩვენ გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას

**შრომის ნაყოფიერების გაზრდა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა.—მუშა თვითონ არის წარმოების პატრონი.—შრომის ნაყოფიერების გაზრდა ამცირებს ფაბრიკატის ფასს.—განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფაბრიკა-ქარხნებს.—ამ საქმეში დიდ როლს ითამაშებს მუშკორი.—ჩვენი ლოზუნგი: „უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება“.**

### რედაქტორთა თათბირი

**მოსკოვი**, 24 სექტ. რუსეთის კომპარტიის ცეკასთან გაიმართა მოსკოვისა და პროვინციალურ გაზეთების რედაქტორთა თათბირი. თათბირმა მიიღო რეზოლიუცია ბეჭვდითი სიტყვის ამოცანების შესახებ. პურის დამზადების კამპანიის ჩატარების საქმეში რეზოლიუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პურის დამზადებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია წარმოადგენენ უმთავრეს ამოცანას ჩვენს ეკონომიურ ღონისძიებებში. ორთავე კამპანიამ უნდა გადასწყვიტოს ორი უმთავრესი საკითხი: როგორ უნდა მოეწყოს პურის ბაზარი, რომ ფასები ხელსაყრელი იყოს გლეხობისათვის და ამავე დროს არც გაჭირვებაში ჩავარდეს მუშათა კლასი და ჩვენი სახელმწიფო მეურნეობა. შემდეგ: როგორ უნდა უზრუნველყოთ ერთდროული და უკლებლივი შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა.

ბეჭვდითი სიტყვამ უნდა განუმარტოს გლეხობისა და მუშათა ფართე მასსებს ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა სოფლათ და პურის ფასების პოლიტიკაც. აქ მკაფიოთ უნდა იყვეს ახსნილი, რომ გადაჭარბებული ფასი პურზე არყევს მანეთის სიმტკიცეს, ხელს უშლის მრეწველობის განვითარებას და შრომის ნაყოფიერობის ზრდას. პურის მაღალი ფასები ხელსაყრელია მხოლოდ კულაკებისა და კერძო ვაჭრებისათვის. გლეხობის დიდი უმრავლესობისათვის კი პურზედ გადაჭარბებული ფასები ერთობ საზარალოა, რადგან ამის გამოისობით იგინი პურს ვერ გაჰყიდიან ან გაჰყიდიან ძალიან ცოტას.

**შრომის ნაყოფიერობის ასაწევათ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ შრომის ნაყოფიერების გაზრდის კამპანია უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს ამოცანას და გაზეთებში უნდა ეჭიროს ცენტრალური ადგილი.**

ეს კამპანია უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგებით: **შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩენილია ხამუშაო ხელფასის ზრდასთან. მუშა თვითვე არის პატრონი წარმოებისა და უშუალოთ დაინტერესებული უნდა იყვეს მის გაზრდაში. შრომის ნაყოფიერების გაზრდა—ამცირებს ფაბრიკატების ფასს, განამტკიცებს ყოველგვარ ნაწარმოებზე ფასებს და ამით უფრო მეტად აკავშირებს მუშათა კლასს—გლეხობასთან.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვითეული ფაბრიკის, ქარხნის და არტელის ნამდვილ მდგომარეობის გაშუქებას.

საჭიროა პრესაში ჩაბმა არა მარტო მუდმივი მუშკორებისა, არამედ—ყველა აქტიურ მუშებისა ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ თანამშრომლებთან ერთად. მათ უნდა მონაწილეობა მიიღონ გაზეთის ფურცლებზე მსჯელობაში შრომის ნაყოფიერების გასაზრდელათ.

იშვიათის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ იმ კერძო მუშებს, რომლებიც რამე ნიჭსა და ინიციატივას გამოიჩენენ წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საალმშენებლო თათბირთა მუშაობას.

ფხიზლად უნდა ედევნოს თვალყური, თუ რა ზომებს ღებულობენ ჩვენი მეურნეობის მუშაკნი, რომ გამოსწორებული იქნეს გაზეთში ნაჩვენები ნაკლულევანებანი.

**მუშკორებისა და გლეხკორების ყოველ ყრილობაზე და კრებაზე დღის წესრიგში აუცილებლათ უნდა იყოს ხოლმე დასმული შრომის ნაყოფიერების გაზრდა.**

### ჩვენი მოვალეობა.

**ხარკოვი**, 24 სექტემბერი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს უკრაინის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **უვაროვმა** განაცხადა, რომ შრომის ნაყოფიერების საკითხი ითვლება დღეს ყველაზე აქტუალურ საკითხად უკრაინის სახელმწიფოებრივ მრეწველობისათვის.

მუშის შრომის ნაყოფიერება სტალინის სახელობის ქარხანაში უდრის ომის წინა დროის ნაყოფიერების მხოლოდ 40 პროც. 1913 წელს სტალინის მუშა ამზადებდა თვეში 156 მანეთის საქონელს, ხოლო ამჟამად ის ამზადებს მხოლოდ 65 მანეთისას. ამასთანავე მუშის საშუალო ხელფასი ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ათეულ კაპეიკით ნაკლებია ომის წინა დროის ხელფასზე. 1913 წელს პროდუქციის ყოველ 100 მანეთზე სტალინის სახელობის ქარხნის მუშა იღებდა 22 მანეთს და 8 კაპეიკს, ხოლო დღეს კი ეს ხელფასი უდრის 54 მანეთს.

გამოკვლევიდან დამტკიცდა, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდება ქარხნის დატვირთვასთან პარალელურად. სტალინის ქარხანაში ახალ ღუმელების ამუშავების შემდეგ მუშის შრომის ნაყოფიერება 17 ფუთიდან 30 ფუთამდე გაიზარდა.

სამუშაო დღის არასრულმ დატვირთვა ხშირად გამოწვეულია ტეხნიკური ნაკლულოვანებით. საჭიროა თავიდან იქნას აცილებული უსაქმოდ გაჩერების მიზეზები, გადასინჯულ იქნას უქმე დღეების კალენდარი და ჩატარდეს ფართო კამპანია, რომლის დროსაც უნდა განემარტოს მუშას, თუ როგორ უნდა უცქეროდეს ის წარმოებას. შრომის ნაყოფიერების შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მანქანების და მოწყობილების გაცვეთა. მიღებული იქნება ზომები მუშების ყოფა-ცხოვრების და პირველ ყოვლისა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად.

### რკინისგზელთა ხმა

**დონის როსტოვი**. 24 სექტემბერი. შესდგა ჩრდილოეთ-კავკასიის რკინისგზების მუშათა კრება, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ. კრებას დაესწრო 2000 მეტი კაცი კრებას არაჩვეულებრივი გაცხოველებული ხასიათი ჰქონდა.

### ფეიქრების რეზოლიუცია

**მოსკოვი**. 24 სექტემბერი. ფეიქართა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილების პლენუმზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: შრომის ნაყოფიერების და ინტენსივობის აღდგენის მიზნით პლენუმს მიზანშეწონილად და დროულად მიაჩნია გადასვლა პირდაპირ და ნარდ განაკვეთებზე და გაუქმება ნამუშევარის დაწესებული ნორმისა, როგორც სავალდებულოსი. პლენუმი წინადადებას აძლევს ფეიქართა კავშირის საგუბერნიო განყოფილების პრეზიდიუმს რაც შეიძლება საჩქაროდ გაატაროს ცხოვრებაში ეს ზომა, და ხაზს უსვამს, **რომ სამუშაო ხელფასის შემდეგი მომატების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების და პროდუქციის გაიაფების გზით.** ამ მიზნით პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს უფრო მეტი ენერგიით აწარმოვოს შემდეგი მუშაობა ზედდართულ ხარჯების შესამცირებლად.

### ჩვენი ტრანსპორტი

**მოსკოვი**. 27 სექტემბერი. გზათა სახალხო კომისარიატთან არსებულმა შრომის მომწესრიგებელმა ცენტრალურმა ბიურომ გაგზავნა საბჭოთა კავშირის გზებზე მთელი რიგი პასუხისმგებელ ინსტრუქტორებისა ტრანსპორტზე შრომის ნაყოფიერების დასათვალიერებლად. უკვე მიღებულიბ მასალები, რომლებიც ახასიათებენ შრომის ნაყოფიერებას ზაბაიკალის, კავკასიის, რიაზან-ურალის და სხ. გზებზე. **ყველა მასალების მიღების შემდეგ გზათა სახალხო კომისარიატი შეუდგება პრაქტიკული ზომების შემუშავების ტრანსპორტზე შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.**

# წითელ ფედერაციაში

## რუსეთი

### საბჭოთა არჩევნებისთვის!

**მოსკოვი**. 24 სექტ. რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებს და საოლქო საგუბერნიო აღმასკომებს, რომ საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში აუცილებლათ ჩააბან ფართედ ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც აქნობამდის ჯერ კიდევ საკმაოთ არ იყვენ ჩაბმული საბჭოთა აღმშენებლობაში. ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმი ურჩევს, რომ ყოველ გუბერნიებში, სადაც კი გაბნეულია სხვა და სხვა ეროვნებანი, საარჩევნო მოწოდებანი და ინსტრუქციები უნდა იბეჭდებოდენ უმცირესობათა ეროვნულ ენაზეც. საარჩევნო კომისიებში არჩეულ უნდა იყვეს საკმაო რიცხვი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა. მცირე ეროვნებათა ფართე მასსები ჩაბმულ უნდა იყვენ საარჩევნო კამპანიაში კრებების და მიტინგების მოწვევით და მოხსენებათა წაკითხვით მათ მშობლიურ ენაზე. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ჩაბმულ უნდა იყვენ საბჭოთა აღმასრულებელ ორგანოების მუშაობაში.

### დახმარება მოუსავლიან გუბერნიების გლეხ-კაცობას.

**მოსკოვი**. 24 სექტ. ცარიცინისა და სარატოვის გუბერნიების გასაცნობათ გაგზავნილ გლეხთა საურთიერთო დახმარების ცეკას პრეზიდიუმის წევრი ამხ. გავრიილოვა უკვე დაბრუნდა. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ თავის დროზე მიღებულმა ზომებმა დაზარალებულ გუბერნიების უზრუნველსაყოფელად სურსათით და თესლეულობით ძალიან დააკმაყოფილა გლეხკაცობა.

**ზამთრის პური დათესილია წარსული წლის რაოდენობასთან შედარებით—120 პროცენტით. მოსახლეობა სავსებით უზრუნველყოფილია პურით.** სკოლებთან არსდება სასადილოები. ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში არ დაიარებიან, სახლში იღებენ თავიანთ ხვედრ სანოვაგეს.

### პურის ფასების დაწევის კამპანია

**კრასნოდარი**. 24 სექტ. **კრასნოდარში დაიწყო ფართო კამპანია პურის ფასების დასაწევად.** პურის ფასი თითქმის 40 პროცენტით აღემატება შარშანდელს.

### საგლეხო სესხი.

**მოსკოვი 24 სექტ. ფინანსკომის ცნობებით 16 სექტემბრისათვის გასაღებული იყო საგლეხო სესხის ობლიგაციები 44 მილიონ მანეთის რაოდენობით.**

### საშემოდგომო თესვის კამპანია.

**მოსკოვი**. 24 სექტემბ. მთელ რიგ ქალაქებიდან, მაგალითად, ხარკოვიდან, არტემოვსკიდან, რიბინსკიდან კიევიდან, როსტოვიდან და ცარიცინიდან იტყობინებიან, რომ იქ ხელსაყრელი ამინდებია საშემოდგომო ნათესებისათვის. ყოველგან საშემოდგომო თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. ყოველგან გადიდებულია ნათესების მოედანი.

# წყალდიდობა ლენინგრადში

**მოსკოვი. 24 სექტემბ. ზღვიდან მქროლავ დიდი ქარის გამო 23 სექტემბერს ნევამ აიწია 10 ფუტის სიმაღლეზე ჩვეულებრივ დონესთან შედარებით. უმეტესი ნაწილი ლენინგრადისა წყალით არის მოცული. ქუჩებში მოძრაობა შეჩერებულია.** სავაჭროები და საწყობები წყლით არის სავსე. მოსახლეობისთვის მოულოდნელი იყო ეს წყალდიდობა და ამიტომ თავის დროზე ვერ მოამარაგა სურსათ-სანოვაგე. ასი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი წყალდიდობა იყო 1821 წელს, როცა ნევამ აიწია 12 ფუტით. შემდეგ მხოლოდ ერთხელ იყო 10 ფუტი და ეხლაც მეორეთ. ჩვეულებრივათ კი 8 ფუტ ზევით არ აცილებულა.

**ლენინგრადი**. 24 სექტ. **ღამით თერთმეტის ნახევარზე ქარი ჩადგა და წყალმაც დაიწყო დაკლება. ქუჩებში ნელ-ნელა განახლდა მოძრაობა. ტელეფონი და ელექტრონი წყალმოვარდნილ ქუჩებში ჯერ არ არის აღდგენილი.**

# პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 26 სექტემბერს
**ერთიან პარტიულ დღის**
დღის წესრიგი შეიმუშავონ თვით იაჩეიკებმა.
**თბილისის კომიტ. მდივანი: რუბენი**

### ა|კ. საბ.-პარტიულ სკოლების ყრილობა

დღეს, ხუთშაბათს, 25 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, რ. კ. პ. ა|კ. საოლქო კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე **გაიხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა პარტიული სკოლების ყრილობა.**

დღის წესრიგი: 1) საბჭოთა პარტიულ სკოლების მშენებლობის საორგანიზაციო საკითხები—ამხ. **ხაჭაპურიძე**. 2) საბჭოთა პარტიულ სკოლების პროგრამა (რ. კ. პ. ა|კ. საოლქო კომიტეტის მიერ შემუშავებული). ა) საერთო განათლების საგნებში—ამხ. **ბუდილევი**. ბ) საზოგადოებრივ საგნებში—ამხ. **ა. ესსენი**. 3) სწავლების მეთოდები—ამხ. **სირკინი**. 4) პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება საბჭოთა პარტიულ სკოლებში—ამხ. **რახულ ზადე** და **გრიშენკო**. 5) სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ახალი პროგრამები—ამხ. **მარია ორახელაშვილი**. 6) მიმდინარე საქმეები.

მოწვეულნი არიან: ამიერ-კავკასიის პირველი და მეორე საფეხურის საბჭოთა-პარტიულ სკოლების გამგეები, ცენტრალურ პარტიულ სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ცეკასთან არსებულ საბჭოთა-პარტიულ სკოლების ქვეგანყოფილებების გამგეები და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ განათლების მთავარ სამართველოების წარმომადგენლები.

**რ. კ. პ. ა|კ. ს. კ. საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.**

### ახალგაზრდათა მეათე საერთაშორისო დღე

### გარე-კახეთი

კვირა დღეს, 21 სექტემბერს. გარე-კახეთის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია ჩვეულებრივ მზადებაშია დიადი დღესასწაულის ჩასატარებლად. თუმცა 14 სექტემბრისათვის იყო გადაწყვეტილი, მაგრამ, ვინაიდან გარე-კახეთის ახალ. ლენინელები ამ დროს თავად-აზნაურულ „გამოსვლისაგან“ იცავდენ ქვეყანას, ამიტომ 14 სექ—დან დღესასწაული გადადებულ იქნა 21 სექტემბრისათვის.

ნათქვამია „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო“.

დილის 11 საათი იქნებოდა, რომ ყოველ სოფლიდან დაწყობილი კომკავშირელნი თავს იყრიან რაიკომის წინ სართიჭალაში.

12 საათი შესრულდა, რომ პროცესიამ იწყო სვლა; პირველად ქუჩაში გამოჩნდენ ვირებზე მჯდომი მღვდლები, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი ჟორდანიას სახით და სხვა. მათ უკან მოსდევენ ზიზღით მაყურებელნი სოფლის მოწაფეთა ბავშვები, ქალები დროშებით და სხვადასხვა პლაკატებით ხელში. შემდეგ კი დარაზმული მწყობრად ლენინის კომკავშირელნი.

მიმართულება იყო ლენინის მოედნისაკენ.

უკვე მოგროვდენ დანიშნულ ადგილს.

მიტინგი გახსნა გ|კ. ა. ლ. კ. კ. რაიკომის მდივანმა ამხ. ღვინერიამ, რომელმაც გააცნო მიტინგს დღესასწაულის მნიშვნელობა.

რაიპარტკომის სახელით ილაპარაკა ამხ. დათანაშვილმა, რაი აღმასკომის სახელით ამხ. მაისურაძემ (ტურა) სკოლების მასწავლებელთა სახელით მასწ. დუჩიძემ, რომლებმაც აღნიშნეს იმპერიალისტური ომის დაწყებაში და მუშათა კლასის მოღალატეთა როლში გამოსვლა მე 2 ინტერნაციონალის. ყველა სიტყვათა დათავებისას ბავშვთა გუნდი ასრულებდა ინტერნაციონალს, და ბოლოს მოწაფეთა სახელით ილაპარაკა ამხ. ღვინერიამ, რის შემდეგ მიტინგი დაიხურა.

დაწყობილი რიგებით ახალ. ლენინელები რევოლიუციონურ სიმღერებით მიდიან რაიკომისაკენ, რის შემდეგ იშლებიან.

ამავე საღამოს სართიჭალის კლუბში წარმოდგენის წინ იხსნება მიტინგი, სადაც ლაპარაკობენ ამხ. ამხ. ბუჯიაშვილი და ღვინერია, რის შემდეგ ადგ. კომ. კავშირის ძალებით დაიწყო წარმოდგენა.

თეატრში დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდ კმაყოფილებს გამოსთქვამდენ ჩატარებულ დღესასწაულით.

კ. ბუჯიაშვილი.

### კომკავშირის მეორე უჯრედი დიდ-ჯიხაიშში

დიდ-ჯიხაიშის მეორე უჯრედი არსებობს 1921 წლიდან. უჯრედი შესდგება უმთავრესად გლეხურ ახალგაზრდობისაგან. იმართება სისტემატიურად კრებები, რომელსაც ესწრება როგორც უჯრედის წევრები, ისე უპარტიო ახალგაზრდობა. უჯრედის მეცადინეობით დაარსებულია ქოხსამკითხველო, რომელიც ანტირელიგიურ მოძრაობის დაწყების შემდეგ გადატანილი იქნა ყოფილ ეკლესიაში. ეს ეკლესია გადაკეთდა კლუბად და შიგ მოწყობილ იქნა სცენა ამავე უჯრედის თაოსნობით და ხარჯით. კლუბში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები მოხსენებით ანტირელიგიურ თემებზე. კლუბთან დაარსდა ლიტერატურულ დრამატიული წრე. უჯრედის სამკითხველო ძლიერ ღარიბია ლიტერატურით, მაგრამ ამ ნაკლის შესასუსტებლად უჯრედი წელს ამუშავებს ორი ქცევა მიწას, რაც საშუალებას მისცემს უჯრედს მეტი კულტურულ მუშაობისთვის. უნდა ითქვას, რომ ამ კლუბის კარგად დაყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უბნის მშრომელი გლეხობისათვის, ვინაიდან ეს უბანი საგრძნობლად დაშორებულია დიდ-ჯიხაიშის ცენტრს. ამჟამად უჯრედში უმრავლესობა ახალი შემოსულებია,—ძველი წევრები თითქმის არვინ დარჩა. ამხ. ი. რუხაძე, რომელიც უჯრედს დღიდან დაარსებისა ენერგიულ ხელმძღვანელობას უწევდა სწავლის გასაგრძელებლად წავიდა და მოსცილდა უჯრედს. მაგრამ იმედია ახლად არჩეული პრეზიდიუმი გაათკეცებული ენერგიით მოჰკიდებს ხელს საქმეს და წაიყვანს ახალგაზრდობას ლენინიზმის გზით.

ირან.

### ამხ. მაკარი ართილაძის დასაფლავება

სუფსის რაიონული კომიტეტის დავალებით მივემგზავრებით ორი ამხანაგი საზიზღარ მენშევიკურ ავანტიურის მსხვერპლის ჩვენი დაუვიწყარი კომპარტიის წევრის 1917 წლიდან ამხ. მაკარის დასაფლავებაზე დასასწრებლად, რომელიც მოკლულ იქნა ბანდიტებისაგან ბახვის აღების დროს. გზადაგზა გვხდებიან ჩამწკრივებული შეიარაღებული ამხანაგები და სოფლის მშრომელები წითელი დროშებით და გვირგვინებით სათანადო წარწერით.

დღის 2 საათზე მივედით მაღალ ჯუმათში, ხალხი ბლომათ მოგროვილიყო. ამხანაგის ცხედარი უნდა გამოესვენებიათ ოზურგეთიდან, მაგრამ ჯერ არავინ სჩანდა. წავედით გზაში შესახვედრათ ბაილეთის სანაოზე, სადაც 2 საათი ყურება დაგვჭირდა. ბოლოს გამოჩნდა ეტლი, რომელშიც ესვენა ამხანაგის ცხედარი და ოზურგეთიდან რამოდენიმე ცნობილი ამხანაგები ამხ. კირილე ჩხარტიშვილის და სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწის ამხ. გოგიაძის თანხლებით, რომლებიც მოუძღვოდენ ამხანაგის ცხედარს. კომრაზმის უფროსი სამხედრო წესით შეხვდა ცხედარს.

აქ კუბო დაასვენეს, სადაც მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კ. ჩხარტიშვილმა. შემდეგ პროცესია დაიძრა სახლისაკენ. გზადაგზა გვიერთდებიან მახლობელ სოფლების მცხოვრებლები. ჩვენ მოვილაპარაკეთ რადგან უკვე საღამომ მოატანა და გვიანდებოდა დასაფლავება მოგვეხდინა მეორე დღეს 18 სექტემბერს. შესაფერი განკარგულებაც იქნა გაცემული. როცა ამხანაგის ცხედარი სახლში მივასვენეთ უკვე მზე ჩადიოდა, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სტირიან ყველანი. მოხუცებული დედ-მამა რომელთაც მხოლოთ ეს ერთად ერთი შვილი ჰყავდა და მაკარის ოჯახობა სამი პაწია შვილებით. ყველას გული უკვდება. და რამდენი ოჯახია დღეს ასე ატირებული? ეკითხები თავის-თავს. ვისთვის იყო საჭირო ასეთი ავანტიურა?

აღსანიშნავია მოხუცებულ დედმამის რევოლიუციონური შეხვედრა თავის საყვარელ შვილისადმი. დამწუხარებული და ლოყებდაკაწრული დედა შემდეგი სიტყვით ეუბნება კუბოს: „შენ მოკვდი შვილო, მაგრამ მოკვდი სახელოვანათ ბრძოლის ველზე, ვენაცვალე მე იმ მთავრობას, რომლისთვის შენ თავი გასწირე. მე ამის შემდეგ შენ მკვდრათ არ გთვლი, რადგან შენმა ერთგულმა ამხანაგებმა, შენი კუბო სახლში მოტანილი დამანახვაო“. მოხუცებული მამა კიდევ უფრო ამხნევებს მაკარის ცოლ-შვილს და ეუბნება, ჩვენი მაკარი არ მომკვდარა, მას ამდენი ამხანაგები ჰყოლია. სირცხვილი იმათ ვინც ეს უნამუსობა და ხალხის ღალატი ჩაიდინაო. უკანასკნელი მამის გამოსათხოვარი სიტყვა ასეთი იყო: „განისვენე შვილო მაკარი ტკბილათ. ღმერთმა გაცხონოს მეთქი მოხუცებული კაცი კი ვარ, მაგრამ არ გეტყვი, ღმერთი არ არის. გაუმარჯოს რისთვისაც შენ იბრძოდი“-ო.

მეორე დღეს 12 საათიდან ხალხი მოგროვდა. სრულ 2 საათზე ცხედარი გამოასვენეთ და ეზოში დაასვენეთ. აქ მრავალი სიტყვები წარმოთქვეს. პირველათ ილაპარაკა სუფსის რაიკომის წარმომადგენელმა. შემდეგ ჯუმათის, ნიგვზიანის და ჩოჩხათის ახკომკავშირის წარმომადგენლებმა, რომლებმაც შესაფერათ დაასურათეს მენშევიკების საზიზღარი ავანტიურა. კომუნისტურ რაზმის სახელით მოკლე მაგრამ შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა ამხ. ვანო სირაძე. ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის სიტყვას ამბობს ბოლოს ამხ. კ. ჩხარტიშვილი, რომელმაც ფართედ დაასურათა მენშევიკების შავი საქმეები საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ. დღეს მენშევიკებმა თავიანთი ხელით გაითხარეს საფლავიო, დაამთავრა ამხანაგმა.

სრულ ოთხს საათზე კუბო უკვე ჩავასვენეთ საფლავში. გაისმის სალიუტი ჰაერში... ეს, ეცნობა ყველას რომ მშიშარა და საბრალო მენშევიკებს ბედმა უმტყუნათ. მშრომელი ხალხი მაგრათ ჩასჭიდებია ძალაუფლებას და მას არავის არ დაუთმობს.

მშვიდობით ამხანაგო მაკარი!

შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება შენი ამხანაგების გულში.

ა. თოდრია.

## ცირკულიარული

### საქართველოს კომ. პარტიის საკონტროლო კომისიის და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა

### სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა და მეურნეობათა ყველა ხელმძღვანელებს

ზედმეტი მუშაობის წარმოების წესის შესახებ

ვინაიდან სახელმწიფო წარმოება დაწესებულებებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ზედმეტ საათებში მუშაობის წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს:

1. ნორმალური სამუშაო დღის გადიდება.
2. ზედმეტი მუშაობისთვის გასამრჯელოს ორმაგი რაოდენობის გაცემით წარმოშობილი უნაყოფო ხარჯები.
3. უმუშევრობასთან ბრძოლის შესუსტება.
4. მუშაკთა მცირე რიცხვისათვის ფარულად შრომის ხელფასის გადიდება.
5. მომუშავეთაგან იმის ცდა, რომ სამუშაოს თავის დროზე შესრულების მაგივრად მისი ნაწილი გადადებული იქნეს საღამოს საათებისათვის, საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია, თანახმად ც. ს. კ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცირკულიარისა № 181-373—1924 წლის 14 აპრილის — წინადადებას აძლევს სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შესწყვიტონ ყოველგვარი ზედმეტი საათების მუშაობა და პირადი პასუხისმგებლობის შიშის ქვეშ არ დაუშვან ასეთები შრომის ინსპექტორების ნებადაურთველად: წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

შრომის ინსპექციას ევალება ასეთის დარღვევათა ყველა შემთხვევები დაუყოვნებლივ აცნობოს საკონტროლო კომისიას.

საქ. კომპარტიის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და მ. გ. ინსპექციის კომისარი ა. დოლიძე.

20 სექტ. 1924 წ.

# ქ. თბილისის მუშკორთა საქალაქო და რაიონულ ბიუროების სხდომა

23 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კლუბში შესდგა ქ. თბილისის მუშკორთა საქალაქო და სარაიონო ბიუროების გაერთიანებული სხდომა რაიკომების და ცეკას სააგ. საპროპ. განყოფილებების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) საქალაქო ბიუროს ანგარიში, 2) სარაიონო ბიუროების ანგარიში, 3) მიმდინარე მუშაობის გეგმა, 4) მოხსენება მალინოვსკის შესახებ, 5) მუშკორთა ყრილობების შესახებ და 6) სხვადასხვა.

### საქალაქო ბიუროს ანგარიში.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ავენირი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქალაქო ბიურო არჩეული იყო მუშკორთა საერთო საქალაქო კრებაზე, რომელიც შესდგა მარტში. ბიურო არჩევის დღიდანვე შეუდგა მუშაობას: მოწყობილი იყო კურსები მუშკორებისათვის, არჩეული იყო სხვადასხვა კომისიები და აგრეთვე მიღებული იქნა ზომები მუშკორების დევნის წინააღმდეგ. ამისათვის ბიურომ მიმართა პროკურატურას და სთხოვა მას სათანადო ზომების მიღება. მოწვეული იყო მუშკორთა საერთო კრება იუსტიციის სახალხო კომისარიატში, სადაც ირჩეოდა ეს საკითხი პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად. პროკურატურის მიერ გამოყოფილი იყო ერთი სპეციალური გამომძიებელი მუშკორთა საქმეებისათვის. მაგრამ ამას, სამწუხაროდ, რეალური ნაყოფი არ გამოუღია. იმ ხანებში თბილისში ჩამოვიდნენ აზერბეიჯანელი მუშკორები, რომლებთანაც ჩვენ გავმართეთ თათბირი, სადაც ჩვენ გავილაშქრეთ „ჟურნალისტ“-ის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა მუშკორთა ინსტიტუტის გაუქმებას და ვსთხოვეთ რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტს, რომ მას მიეღო ზომები აზერბეიჯანელ მუშკორების დევნის წინააღმდეგ. საქალაქო ბიუროს მიერ შემუშავებული იყო დებულება სარაიონო ბიუროების შესახებ, რომელიც პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ დაეგზავნა რაიკომებს. ჩვენი მიზანია კონტაქტის დამყარება რაიონულ ბიუროებსა და რაიკომებს შორის ჩვენს მიერ შემუშავებულ დებულების საფუძველზე.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც დამაკმაყოფილებლათ სთვლის საქალაქო ბიუროს მუშაობას და სურვილს გამოსთქვამს, რომ დაჩქარებით არჩეული იქნეს ახალი ბიურო და ძველი ბიუროს ანგარიში წარედგინოს მუშკორთა საერთო საქალაქო კრებას.

შემდეგ მოსმენილი იქნა რაიონულ ბიუროების წარმომადგენლების მოკლე მოხსენებები.

### რაიონულ ბიუროების მუშაობა

**ამხ. შაპოშნიკოვი** (პირველი რაიონი) ამბობს, რომ რაიონში არჩეული იყო 5 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ ერთი სხდომა. პირველსავე სხდომაზე ბიურო შეუდგა მუშკორების წმენდას, რისთვისაც დამზადებული იყო ანკეტები, ბიურო თავიდანვე შემცდარ გზაზე დადგა. ბიუროს სხდომას ერთხელ დაესწრო რაიკომის სააგ.-საპრ. განყ. წარმომადგენელი. აღნიშნული განყოფილება მუშკორებისაგან მოითხოვდა ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ რა ხასიათის წერილებს სწერს გაზეთებში და რა ფსევდონიმით. მუშკორებს თავისი წერილები უნდა წარედგინათ განყოფილებაში და მხოლოდ ამ უკანასკნელის დასტურით შეიძლებოდა მათი დაბეჭდვა გაზეთებში.

**ამხ. ვერემეიჩეკოვი** (მეორე რაიონი) აღნიშნავს, რომ რაიონში გამართული იყო მუშკორთა ერთი საერთო კრება, ამას გარდა ბიუროს ჰქონდა 4 სხდომა. ბიუროს მიერ შემუშავებულია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში. რაიონში მოწყობილი იყო კედლის გაზეთების გამოფენა. ბიურომ დაადგინა გააძლიეროს კავშირი სამკორებთან და მჭიდროთ დაუკავშირდეს პიონერთა ორგანიზაციას. შემთხვევებიდან გამოირკვა, რომ რაიონში ადგილი ჰქონდა მუშკორების დევნას, მაგრამ ეს საკითხი უკანასკნელთა სასარგებლოთ გადაწყდა.

**მესამე რაიკომის** სააგ.-საპ. განყ. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ რაიბიუროს ჰქონდა ერთი სხდომა: შემუშავებულია მუშაობის გეგმა, რომელიც დაამტკიცა რაიკომმა. ბიურომ გადასწყვიტა მოაწყოს კედლის გაზეთების გამოფენა. ამას გარდა მიღებულია ზომები გლეხკორების გამოსაყოფად თელეთიდან და ყარაიაზის რაიონიდან.

**ამხ. გალკინი.** (მეოთხე რაიონი) ამბობს, რომ რაიბიუროს მუშაობა სუსტად მიდიოდა, რადგან ზაფხულის პერიოდში ბიურო თითქმის მთელი შემადგენლობით შვებულებაში იყო. გადაწყვეტილი იყო საერთო კრების მოწვევა, მაგრამ მას ხელი შეუშალეს უკანასკნელმა ამბებმა.

მოხსენებების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენებები რაიბიუროების მუშაობის შესახებ, კრება აღნიშნავს სუსტ კავშირს საქალაქო და რაიონულ ბიუროებს შორის და საჭიროთ სთვლის მუშაობის გაძლიერებას და კონტაქტის დამყარებას რაიკომებთან.

### მომავალი მუშაობის გეგმა.

ამხ. კუზმინა მოხსენებას აკეთებს მიმდინარე მუშაობის გეგმის შესახებ. გეგმა შეიცავს რამოდენიმე მუხლს: 1) საჭიროა მუშკორების აღრიცხვა, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ სტატისტიკური მასალების ხასიათი; 2) რაიბიურომ უნდა მოახდინოს რაიონის გამოკვლევა, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნენ უმუშევარი მუშკორებიც. ბიურომ უნდა იცოდეს რაიონის ცხოვრების პირობები, რამდენი წარმოებაა რაიონში, როგორ სცხოვრობენ მუშები, როგორია მათი პირობები და სხვა. 3) მუშკორების ყოფა - სცხოვრების გამოკვლევა, როგორ სცხოვრობს ჩვენი მუშკორი, როგორია მისი დამოკიდებულება რელიგიასა, ოჯახსა, სქესობრივ საკითხისადმი და სხვა. 4) შემდეგ კულტურული მუშაობა: კედლის გაზეთების, საკონსულტაციო ბიუროების, კრებების და სხვათა მოწყობა. მუშკორის გასამართლების მოწყობა, კულტურული დახმარების გაწევა სოფლისათვის, გლეხკორებთან კავშირის დამყარება და სხვა.

აღნიშნული გეგმა კრების მიერ მიღებული იქნა. საქალაქო ბიუროს დაევალა დაამუშაოს, გააფართოვოს ის და დაუგზავნოს რაიონებს.

მალინოვსკის მოკვლის შესახებ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია. კრებამ დაადგინა მუშკორების ერთი წერილის გონორარი გადადებული იქნეს მალინოვსკის ოჯახის სასარგებლოთ.

# თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, ოთხშაბათს, 24 სექტემბერს: საღამოს 7 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგა თბილისის აღმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება კომუნალური ბანკის მოქმედების შესახებ და შემდეგი მუშაობის გეგმა, 2) ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება წალკაში საავადმყოფოს მოწყობისა და ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოს აღმასკომის განკარგულებაში გადმოსვლის შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **მესხი.** ის მოკლეთ ახასიათებს ბანკის დაარსების ისტორიას და მისი ერთი წლის მოღვაწეობას. ბანკი გაიხსნა 1923 წლის ოთხ დეკემბერს. წესდების მიხედვით, ბანკის ძირითადი თანხა იყო 500.000 მანეთი, მაგრამ აღმასკომმა ვერ შესძლო ამ თანხის მიცემა, მან მოახერხა მხოლოდ 125.000 მან. გაღება, რომლითაც ბანკმა დაიწყო მოღვაწეობა.

ბანკის მთავარი დანიშნულებაა კომუნალური მეურნეობის საჭიროებების დაკმაყოფილება.

წლის ბოლოს ბანკის ბალანსი უდრის 2.300.000 მანეთს. ბანკის პოლიტიკა თავიდანვე მეტათ ფრთხილი და მიზანშეწონილი იყო, რამაც მას ნდობა მოუპოვა ჩვენს ეკონომიურ დაწესებულებებს შორის. ბანკმა ბრწყინვალეთ შეასრულა თავიდანვე შემუშავებული გეგმა. ამის გამო ამხ. მესხი შუამდგომლობს პლენუმის წინაშე იმის შესახებ, რომ მომავალ საბიუჯეტო წელში ბანკის ძირითადი თანხა გადიდებული იქნეს ერთ მილიონ მანეთამდი.

თანამომხსენებლათ ამავე საკითხზე გამოდის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე დუმბაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ის თანხა, რომლითაც დაიწყო მუშაობა ბანკმა ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ბანკის მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ ფართო ნდობა მოუპოვა მას, რასაც შედეგათ მოყვა თანხების შემოსვლა ბანკის სალაროში მიმდინარე ანგარიშებზე. ამას გარდა ბანკს კრედიტი გაუხსნა სახელმწიფო ბანკმა.

ამხ. დუმბაძე ციფრებით ამტკიცებს ბანკის ოპერაციების თანდათანობით გაფართოვებას და ბანკის თანხების ზრდას. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული თანხები ბანკმა გაანაწილა შემდეგნაირათ: ქალაქს მიეცა 322.000 მან., საბჭოთა ორგანიზაციებს 126.000, კოოპერატიულ ორგანიზაც. 172.000, კერძო პირებს 376.802 მან., სხვადასხვა საამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციებს 137.000 მან. კერძო პირებიდან კრედიტი ეძლეოდა წვრილ ვაჭრებს, ამასთანავე ბანკი მათგან იღებდა 42 პროც. წლიურს. სახელმწიფო ორგანოებიდან კი 24 პროც. ერთი წლის განმავლობაში ბანკის დივიდენდი (მოგება) შეადგენს 80.000 მან.

ბანკს განზრახვა აქვს გააძლიეროს დახმარების გაწევა საამშენებლო საქმისათვის. ამისათვის კი საჭიროა ბანკის ძირითადი თანხის გადიდება.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იწონებს ბანკის მოღვაწეობას და საჭიროთ სთვლის მისი ძირითადი თანხის გადიდებას.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **მამულია.** იგი აღნიშნავს, რომ ამხ. კამოს საავადმყოფო აქამდი დამზღვევი სალაროს ხელში იყო, მაგრამ ეხლა პროფესიონალური ორგანიზაციების დამზღვევი სალაროს დადგენილებით, გადმოდის აღმასკომის განკარგულებაში.

ჩვენ განზრახვა გვაქვს ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოში მოვაწყოთ პროფესიონალურ სნეულებათა გამოკვლევის ინსტიტუტი. ეს საავადმყოფო ჩვენ უკვე ჩავიბარეთ, მისი ინვენტარის ღირებულება უდრის 890.000 მან.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო წალკაში საავადმყოფოს გახსნის საკითხს. წალკა მეტათ მიყრუებული და ჩამორჩენილი კუთხეა. იქ არ არის დაცული არავითარი სანიტარული პირობები, არ არის აბანო და სხვა, ამას გარდა წალკის მოსახლეობის თითქმის 100 პროც. დაავადმყოფებულია სიფილისით. ჩვენ იქ გავგზავნეთ სამი რაზმი. მუშაობა მეტათ ძნელია, რადგან გლეხები არ მიდიან ექიმებთან.

გარდა საექიმო დახმარების გაწევისა, ჩვენ იქ ვაწარმოებთ სანიტარულ-განმანათლებელ მუშაობას, რომელმაც დიდი შედეგები გამოიღო. წალკაში ჩვენ ვხსნით საავადმყოფოს 14 საწოლით.

2 საექიმო პუნქტი, 1 საავადმყოფო და სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობა მოსპობს იმ გადაშენებას, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა.

პლენუმმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას შეიმუშაოს სანიტარულ განმანათლებელი მუშაობის გეგმა და გაატაროს იგი ცხოვრებაში.

# წითელ ჯარში

## კედლის გაზეთები ჯარში

### „მუშაკი“ № 6

ეს კედლის გაზეთი არის ორგანო 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბისა. უკანასკნელი ნომერი მიძღვნილია უკანასკნელათ მომხდარი ამბებისადმი.

საერთოდ კედლის გაზეთების საქმე ქართულ ჯარში კარგ ნიადაგზეა დაყენებული, ხელმძღვანელებს საკმაო გამოცდილება აქვთ და თავის მიზანსაც ღირსეულად ემსახურებიან ჯარში კულტმომუშავეთ.

ცენტრალურ კლუბის კედლის გაზეთიც ერთ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ნაწილებში და მაგალითის მიმცემათ. ნომერი ზომიერი ფორმატისაა, კარგ ქაღალდზე და გარკვევით არის ნაწერი.

მოწინავე—ჯანსულ-სვანისა — აშუქებს 30 აგვისტოს ამბებს (ლენინზე თავდასხმას და სხვა), მეორე წერილი —ონტოსი--ლენინზევეა და მოუწოდებს წითელარმიელებს იარონ ლენინიზმის გზით, მესამე წერილი—ლელის—აშუქებს კარვობიდან დაბრუნებულ წითელარმიელთა მოვალეობას და სხვა. შემდეგ მიდის პოეზია: „დიდი ლენინი“—დაშნასი. ქრონიკა, იუმორი (კარიკატურებით და ლექსებით), საკლუბო ქრონიკა განცხადებები და სხვა.

წერილები რიგზეა დაწყობილი, სჩანს მცოდნე ხელმძღვანელის ხელი.

გაზეთი გალამაზებულია ფერადი სურათებით. თავში ახატია—ლენინი—ჩირაღდანით. მარცხნით წითელი გუშაგი სადარაჯოზე მდგარი და მარჯვნივ სოფლის და ქალაქის დაახლოვება, მუშის და გლეხის სახით.

გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი შინაარსით.

მჭვერავი.

# მეცნიერება და ტექნიკა

### მარსიდან ნიშნების მოლოდინში



პროფ. ფრენსის ჯენკინსი თავის აპარატთან.

პროფ. ფრენსის ჯენკისმა, გამომგონებელმა, რომელიც ცხოვრობს ვაშინგტონში, ნიუიორკის შტატში, პროფესორ ტოდდის ლაბორატორიაში მოაწყო აპარატი, რომელსაც შეუძლია დაიჭიროს ყოველგვარი რადიო სიგნალი. პროფ. ჯენკისს იმედი აქვს, რომ მისი აპარატის საშუალებით შეიძლება მარსიდან რადიო-ნიშნების დაჭერა.

### ძვირფასი განძი.

მოსკოვის საგუბერნიო მუზეუმმა მიიღო ცნობა, რომ სერპუხოვის მიდამოებში აეროდრომის ასაგებათ მუშაობის წარმოების დროს მუშებმა მეექვსე საუკუნის საფლავში აღმოაჩინეს ძვირფასი განძი.

4 არშინის სიღრმეზე იპოვეს ქალის ყელსაკიდები, რომელთაც ნალის ფორმა ჰქონდათ, რამდენიმე ბეჭედი და სხვა სამკაული.

### დედამიწის ზედაპირის ტალღისებური მოძრაობა.

სამეცნიერო საზოგადოებათა კონფერენციაზე გლაზგოში (შოტლანდია) ლიუდოვიკ მანნმა შემდეგი განცხადება გააკეთა: ძველ და ახალ ასტრონომიულ დაკვირვებათა შედარების დროს მან აღმოაჩინა, რომ დედამიწის ზედა პირი ტალღისებურად მოძრაობს.

მთელი ტალღა დაუვლის დედა მიწას პერიოდში, რომელიც უდრის 8.400 წელს, რაც იწვევს მცირეოდენ ცვლილებას დედამიწის ღერძის და პოლიუსების მდგომარეობაში და აგრეთვე კლიმატიურ ცვლილებებს. დედამიწის ზედაპირის ტალღისებური მოძრაობით აიხსნება ოკეანების მიერ ხმელეთის ნაწილის დაფარვა და აგრეთვე ნაპირების გაფართოება და კუნძულების შექმნა ზოგ ადგილებში.

ამ აღმოჩენამ შეძლება მისცა მეცნიერებს წაეკითხათ ის ასტრონომიული ცნობები, რომლებიც ამოკვეთილი არიან კლდეებზე ევროპისა და ამერიკის მრავალ ადგილებში.

### ძველი ფულები

ხელოვნების ისტორიის რუსეთის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ნოვგოროდში იპოვეს ყუთი, რომელშიც აღმოჩნდა მეოთხე საუკუნის ფულები.

### მნიშვნელოვანი აღმოჩენა.

ელექტრონის ძალის გამოყენებამ გადამდებ სენთან ბრძოლის მიზნით პროფესორ რუპპელის მეთოდით მთელი გადატრიალება უნდა მოახდინოს ეპიდემიებთან ბრძოლის დარგში. თავისი ცდებით პროფესორმა რუპპელმა გამოარკვია, რომ განსაზღვრული სიძლიერის ელექტრონის ტალღას სრულიად შეუძლია დაშალოს და მოკლას გადამდები სენის ბაქტერიები.

რუპპელის შესანიშნავი აღმოჩენა საბჭოთა კავშირს შემდეგ პერსპექტივებს უშლის:

1. ისპობა ყოველგვარი დამოკიდებულება საზღვარ-გარეთისაგან ასაცრელი შრატის დამზადების საქმეში, რადგან რუპპელის სისტემით შრატის დამზადების დროს აღარ არის საჭირო ძვირფასი ქიმიური პრეპარატები და აპარატები, რომლებიც წინათ იყო საჭირო.

2. შრატის დამზადების პროცესი შესამჩნევად მარტივდება. შესაძლებელი ხდება შრატის მასიური დამზადება საფაბრიკო წესით.

ამრიგათ კაცობრიობას ეძლევა საშუალება სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ასეთ საშინელ ავადმყოფებს, როგორიც არის სიფილისი, ჭლექი, მალარია (მესამე სოციალური ავადმყოფობა), ხოლერა, შავი ჭირი და სხვა.

ამ რიგათ ელექტროფიკაცია მოწოდებულია არამც თუ განავითაროს და მაღალ საფეხურზე აიყვანოს ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, არამედ გადაიქცეს მძლავრ იარაღად გადამდებ სენთან ბრძოლაში.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რუპპელის აღმოჩენა, რომლითაც უკვე სარგებლობენ გერმანიაში შრატის დასამზადებლად საფაბრიკო საშვალებით, რაც შეიძლება ფართედ გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირში.

# ნარევი

## ინგლისის ერთი ავანტიურის ისტორია

### (ვრანგელის კუნძულზე საბჭოთა დროშის აღმართვის გამო)

8 აგვისტოს ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ ინგლისის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ინგლისი უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიებზე ვრანგელის კუნძულის მიმართ. ამ განცხადებით ამოიწურა ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან კონფლიქტთაგანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

**ვ. სტეფანსონი**
**რომელმაც დაიკავა ვრანგელის კუნძული 1914 წ.**

ვრანგელის კუნძული—ეს არის პატარა კუნძული, რომელიც მდებარეობს რამდენიმე ასეული ვერსის მანძილზე საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნაპირებიდან. ეს კუნძული 1763 წ. აღმოაჩინა რუსმა მკვლევარმა ანდრეევმა.

მას შემდეგ ინგლისის, რუსეთის და ამერიკის მრავალრიცხოვანი მოგზაურები უახლოვდებოდნენ ვრანგელის კუნძულს, გადმოსხდებოდნენ კიდეც მასზე, მაგრამ უკანასკნელ წლებამდი არავის აზრათ არ მოსვლია სადაოთ გაეხადათ, რომ კუნძული რუსეთს ეკუთვნის.

1914 წ. ინგლისის მთავრობამ კანადელ მკვლევარის ვილჯამაორ სტეფანსონის მეთაურობით მოაწყო განსაკუთრებული პოლიარული ექსპედიცია, რომელმაც მიაღწია ვრანგელის კუნძულამდი და აღმართა მასზე კანადის დროშა.

1916 წ. მეფის მთავრობამ პროტესტით მიმართა ინგლისს ვრანგელის კუნძულის დაკავების გამო. „ძვირფასმა“ მოკავშირეებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს პროტესტს და მეფის მთავრობამ ვერავითარი დაკმაყოფილება ვერ მიიღო ამ საკითხში.

საკითხი ვრანგელის კუნძულის შესახებ კვლავ ამოტივტივდა მხოლოდ 1923 წ. როცა საბჭოთა პოლიარულმა ექსპედიციამ აღმოაჩინა, რომ კუნძული ისევ სტეფანსონის ჯგუფს უჭირავს.

საგარეო საქმეთა კომისარიატმა მიმართა ინგლისის მთავრობას შეკითხვით—იცის თუ არა მან, რომ სტეფანსონმა დაიკავა ვრანგელის კუნძული და აქვს თუ არა სტეფანსონს ამის დასტური ინგლისის მთავრობისაგან.

ინგლისისა და უცხოეთის პრესაში მთელი აურ-ზაური ატყდა ამ საკითხის გარშემო, მაგრამ საბჭოთა მთავრობის უფლებები იმდენად აშკარა იყო, რომ თვით ინგლისელმა ექსპერტებმაც ვერ იპოვეს რაიმე საბუთი, რომ სტეფანსონის „საქმე საგმირო“ გაემართლებიათ. ინგლისის მთავრობამ მაშინ ფორმალურათ არ დასთმო თავისი პოზიციები, მაგრამ უარი სთქვა ვრანგელის კუნძულზე ახალი ექსპედიციების გაგზავნაზე.

საბოლოოთ ეს საკითხი გადაიჭრა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის 8 აგვისტოს სხდომაზე, როცა პონსონბიმ აშკარად და ყველას გასაგონათ აღიარა საბჭოთა კავშირის უდაო უფლებები ამ კუნძულზე.

ის, რაც ვერ შესძლო მეფის დიპლომატიამ, შესძლო საბჭოთა დამოუკიდებელმა დიპლომატიამ: დავა ვრანგელის კუნძულის შესახებ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გადაიჭრა.

რა პატარა არ არის ერთის შეხედვით ეს გამარჯვება, მაგრამ მას ეჭვს გარეშე მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ეს აშკარა იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიო აურ-ზაურში ინგლისს ჩუმად სურდა მიესაკუთრებია ეს კუნძული და გამოეყენებია ის როგორც სტრატეგიული ბაზა. საბჭოთა კავშირს ეს კუნძული სრულიად არ ესაჭიროება ამ მიზნებისათვის. მაგრამ ვრანგელის კუნძული, რომელიც ამიერიდან საბჭოთა ტერიტორიის ნაწილს შეადგენს, შეიქნება საერთაშორისო ბაზა პოლიარული ქვეყნების მეცნიერულად გამოსაკვლევად და შესასწავლად. 20 აგვისტოს გემ „წითელ ოქტომბრის“ მეზღვაურებმა საბჭოთა დროშა აღმართეს კუნძულზე.

# მუშათა ცხოვრება

## შრომის ნაყოფიერების ზრდა

### თამბაქოს მრეწველობა

თბ. ვაგზლის ქუჩაზე, შესაფერ ადგილას, მოთავსებულია 1-ლი სახელმწ. თამბაქოს ქარხანა ამხ. როზა ლიუქსემბურგის სახელობისა. ქარხანას ეზო საკმაოდ დიდი აქვს. ეზოში რამოდენიმე ადგილას დგას მუშებისათვის დასვენების დროს. ჩამოსაჯდომი სკამები, სადაც მუშები იკრიბებიან თავისუფალ დროს სასიამოვნოა სწორედ იქ ყოფნა იმ დროს, როცა მუშებისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი მხიარულად მღერის.

**წარმოება.** —წარმოების საერთო რაოდენობიდან 80 პროც. მუშაობისა ყოველთვის წესიერად მიმდინარეობს; ქარხანას საწყობები საკმაოდ აქვს და ნედლი მასალის მარაგი ერთი წლის ყოველთვის ინახება ქარხნის საწყობებში.

**მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება**—ქარხანაში ამ ჟამად მუშაობს 350 მუშა-მოსამსახურე, ხოლო სამუშაო მანქანების რიცხვის გადიდების გამო, ამ დღეებში გადიდებულ იქნება აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიც 400-მდე. თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი ირიცხება წევრებად: საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებისა, ზოგნი საქართველოს წითელი ჯვრის საზ-ბისა და ზოგნიც უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზ-ბისა. მათი საშუალო ხელფასი განისაზღვრება 35 მან. თვეში.

— დამოკიდებულება როგორია თქვენსა და ადმინისტრაციას შორის ვეკითხები მუშებს. ერთმანეთს შეხედავენ და სიცილით მიპასუხებენ, როგორი უნდა იყოს, იყო წინეთ შემთხვევა, როცა მიდგომილობას ქონდა ადგილი, მაგრამ ეხლა ასეთები არ არის და ჩვენც ვსცხოვრობთ ამხანაგურად.

— ჯამაგირს თავის დროზე იღებთ?

თვეში ორჯელ ვიღებთ ყოველთვის 15 და 1-ლ რიცხვებში. ვღებულობთ სპეც-ტანსაცმელს წელიწადში ორჯერ, ხოლო ამ წელიწადში ტრესტმა დააპირა წარმოების გაფართოება და ჩვენც გვინდა ამას ხელი შეუწყოთ და ამ მიზნით მეორე წყვილის მიღებაზე უარი განვაცხადეთ.

**რას ამზადებს ქარხანა.**—ქარხანაში მზადდება 4 სხვადასხვა უმაღლესი ხარისხის პაპიროსი, ქარხანაში მუშაობს ოთხი თამბაქოს დასაჭრელი მანქანა, რომელიც დღეში 10--13 ფუთამდე ამზადებს; მუშაობს აგრეთვე ყოველდღიურად 24 გასატანი მანქანა. თითო მანქანა დღეში 42,000 ღერ პაპიროს ამზადებს. ქარხანასთან არსებობს ცენტრალური საწყობი, სადაც ინახება სხვადასხვა იარაღები, რომელიც საჭიროა ქარხნისათვის.

**კულტურული მუშაობა.**—ქარხანაში დიდი ხანია არსებობს კულტკომისია, რომელიც ხალისიანად აწარმოებს კულტმუშაობას და სასურველ დონეზეა დაყენებული. დაარსებულია სხვადასხვა წრეები, სადაც მუშაობა ზაფხულის განმავლობაში შეჩერებული იყო, ხოლო მუშაობა უკვე განახლდა და საქმეც ნორმალურად მიმდინარეობს. მუშებს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი საკუთარი კლუბი, მდიდარი სამკითხველო. მოწყობილია **„ლენინის კუთხე“** გამოწერილი აქვთ 300 ცალი სხვადასხვა გაზეთი. აქვთ თავიანთი კედლის გაზეთი, რომელშიაც თითქმის ყველა მუშები იღებენ მონაწილეობას. დიდი მადლობის ღირსია ამხ. მ. უნგიაძე, ქარხკომის პ. მდივანი რომელიც მზად არის მუშის კანონიერი მოთხოვნილების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებაზე, მეტად ენერგიულად მუშაობს კულტურულ დარგში იმ მიზნით, რომ ჩააბას მუშები კულტ-მუშაობაში და ამით შეიტანოს მათში განათლება და საერთო განვითარება. შრომის ხელფასის გადიდება ამ ფაბრიკაში ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება, ვინაიდან წარმოება წარმატებით მიმდინარეობს.

მუშკორი თავ—ნი.

## სახალხო მამულების საქმიანობა

საქართველოს მიწადმოქმედების სახკომის განკარგულებაში არის შემდეგი სახალხო მეღვინეობა-მევენახეობის მამულები: „ნაფარეული“, „წინანდალი“, „მუკუზანი“, და „კონდოლი“. სანერგეები: „ჩუმლაყი“ და მანავი—**კახეთში. იმერეთში:** „ვაჭევის“ და „ვარციხის“ მამული, „საქარის“ მეღვინეობის საცდელი სადგური და „ქორეისუბნის“ სანერგე. არის აგრეთვე **ქართლში,** „ალაიანის“ სანერგე.

**მათი მოედნების სივრცე.** ყველაზე დიდ მამულებს: „წინანდალს“, „მუკუზანს“ და „ნაფარეულს“ უკავია 100—100 დესიატინა მიწა, „კარდანახს“—40 დესიატინა, „მანავს“ 30 დესიატინამდე, იყალთოს მამულში 5 დესიატინაზე გაშენებულია ნამყენი ვაზი და 5-ზე ამერიკული სანერგეები. ჩუმლაყის სანერგეს უჭირავს 22 დესიატინა მიწა, ორზე გაშენებულია ნამყენი ვენახი და 20 დესიატინამდე —ძველი და ახალი ნამყენი ვაზი. „კონდოლის“ მამულში, 1 ნახ. დესიატინაზე გაშენებულია ნამყენი ვაზი და 5-ზე ამერიკული.—„ვაჭევის“ მამულს უკავია 17 დესიატინა, რომელზედაც გაშენებულია სულ ნამყენი ვაზი; „ვარციხის“ 25 დესიატინა სულ ნამყენი ვაზით გაშენებული. „ქორეის-უბნის“ ან „ვაზის-უბნის“ ამერიკულ ვაზის სანერგეს უჭირავს 10 დესიატინამდე მიწა. „საქარის“ მეღვინეობის საცდელ სადგურს—12 დესიატინამდე სულ ნამყენი ვაზით გაშენებული.

„ალაიანის“ სანერგეს განკარგულებაშია 8 დესეტინა, რომელთაგან 4-ზე გაშენებულია ნამყენი ვაზი და 4-ზე ამერიკული.

**საშუალო მოსავალი 1924 წელს** კახეთის მამულებში ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, თუ რას მოგვცემს წრევანდელი მოსავალი ამ მამულში. დაახლოვებით უნდა ვიფიქროთ, რომ კახეთის მამულები მოგვცემენ საშუალოდ 60.000 ფუთამდე ღვინოს (შეიძლება მეტიც). ალაიანის მამულიც მოგცემს 600 ფუთამდე.

იმერეთის მამულებში კი მოსავლიანობის რაოდენობა უკვე გამორკვეულია. ისინი იძლევიან წელს—10.700 ფუთ ღვინოს.

განზრახული არის აგრეთვე გარდა საკუთარი მოსავლის დამზადებისა, დაამზადონ ღვინოები ყურძნის შესყიდვის საშუალებით, რომელსაც ყიდულობენ გლეხებისაგან. განზრახულია შეიძინონ 150.000 ფუთი ყურძენი.

**ღვინის დამუშავება.** ყველა მამულებში ღვინოების დამზადება სწარმოებს კულტურულის წესით. წელს საკუთარი და შეძენილი ყურძენი გარდა სასუფრო ღვინისა დაყენებული იქნება 50.000 ვედრომდე შემაგრებული ღვინოები „პორტვეინის“ ტიპისა. ჭაჭისა და თხლისგან გამოხდილი იქნება არაყი, რომელიც გაიწმინდება სარექტიფიკაციო ქარხანაში, რომელიც შენდება ამ ჟამად „ვარციხის“ მამულში, იგი მოხმარდება ამ შემაგრებულ ღვინოების დამზადებას.

**ბაზარი და რეალიზაცია.** უმთავრეს ბაზრად მამულების ნაწარმოებისა ითვლება რუსეთი და ადგილობრივი უფრო ნაკლები რაოდენობა სალდება მისი, ვინემ რუსეთში. იგი ამ ბაზრებზე გამოაქვთ მიწად-მოქმედების სახკომს და საქ. სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობას („გრუზგოსტორგ“-ს), ადგილობრივ მას ასაღებენ მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებები და მუშკოოპები. უმთავრესად, რეალიზაციაქმნილ ნაწარმოებისაგან შემოსული თანხები ხმარდება—საცდელ-სანიმუშო-საჩვენებელ მამულების და აგრეთვე საწარმოო მამულების გაფართოება-გაძლიერებას.

**უმთავრესი მიზანი** არის გააძლიერონ სანერგეები და საცდელ-საჩვენებელი სადგურები, რათა უფრო მედგრად ებრძოლონ სხვადასხვაგვარ ვაზის სენს, რომელიც ანადგურებს მათ. მაგალითად ამ მხრივ რამდენიმე მიღწევის მოწამენი უკვე ვართ. წარსულთან შედარებით მამულების მდგომარეობა უმჯობესდება. წელს კახეთში ადგილი აქვს ფილოქსერას, რომელიც უქადის მის განადგურებას, ამის წინააღმდეგ უკვე გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს. ვენახების ერთი მეათედი—ერთი მეხუთედი უკვე განახლებულია, დამყნილი ვაზით.

**დაბრკოლებები,** რომელიც ეღობება ამ საქმეს წინ, არის საერთო ფინანსიური კრიზისი და რეალიზაციის სიძნელე, რაც გამოწვეულია სატრანსპორტო ხარჯების სიდიდით და მაღალი სააქციზო გადასახადით ხელს უშლიან საქმის წესიერ მსვლელობას.

**მუშათა ცხოვრება მამულებში.** თითოეულ მამულს ყავს თავისი მუდმივი შტატი. მაგალითად: **წინანდალში** ირიცხება 52 კაცი, **ნაფარეულში**—47, **მუკუზანში**—35, **კარცახეში**—30. სხვა მამულებში ირიცხება 3—10 კაცამდე. გარდა ამისა ჰყავთ შტატგარეშე დროებითი მომუშავენი. ჯამაგირებს ღებულობენ ისინი მე-6 სატარიფო ხარისხით—20—25 მანეთამდე. მუშებს აქვთ უფასო ბინა, სრულიად მოწყობილი და სუფთა. [illegible] ბინებს რომ ნახულობენ. მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარი ძალიან ცოტაა. აქვთ თავისი კლუბი, სამკითხველო და თეატრი (თითოეულ მამულში), გაზეთებს და ჟურნალებს წესიერად ღებულობენ. კვალიფიციურ მომუშავეთ ჯამაგირები უფრო მეტი აქვთ—30—35 მანეთამდე. განწყობილება ადმინისტრაციასა და მუშებს შორის კარგია, თუ რაიმე ინციდენტს ექნა სადმე ადგილი, მას არკვევს განსაკუთრებული კომისია. მუშების სულიერი განწყობილება საერთოდ კარგია. ისინი თვით არიან დაინტერესებული საქმის წარმატებით მსვლელობაში და ყოველთვის სცდილობენ, რომ ყველაფერი რიგზე იყოს.

ინფ. ტონვა.

## მტკიცე გეგმის მიხედვით

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგემ ამხ. ჯულელმა შემდეგი განუცხადა ჩვენს თანამშრომელს:—აშკარაა, რომ საწარმოო თათბირებმა თბილისში ფეხი მოიკიდეს. მთელი კამპანია ტარდებოდა მუშათა მასების მხურვალე მონაწილეობით.

ორი თვის წინათ ჩვენ მოვაწყვეთ საწარმოო კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა და კავშირების ცენტრალური გამგეობების წევრებმა. ამ კონფერენციაზე გამონახული იქნა საჭირო ხაზი: საწარმოო თათბირების დებულებამ, რომელიც პროფკავშირთა საბჭომ გააცნო კონფერენციას, ძლიერი იარაღი მისცა მუშებს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ წარმოებებში.

ის, რაც კონფერენციამდი ხდებოდა, მეტათ დაშორებული იყო ცხოვრებისაგან. თათბირები უბრალო ფორმალური მხარე იყო: მოვიდოდნენ, მოისმენდნენ სპეცების მოხსენებების მშრალ ციფრებს და მეტი არაფერი.

თათბირების მუშაობამ ახალი დებულების მიხედვით აამოძრავა მასები.

— ჩვენ თვითონ, ჩვენი საკუთარი ხელებით გავამაგრებთ წარმოებას და გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას!

და უნდა ითქვას, რომ ეს ლოზუნგი მართლაც ტარდება ცხოვრებაში. თათბირების მუშაობა სერიოზულ შედეგებს იძლევა, რომელთა მიღება ჩვენ სხვა გზით არ შეგვეძლო.

ორი კვირის შემდეგ ჩვენ ვათავებთ კამპანიას. ორი კვირის შემდეგ თათბირების მუშაობა იწარმოებს არა კამპანიის წესით, ნაწყვეტებათ და ქაოტიურათ, არამედ მტკიცე გეგმის მიხედვით, რომელიც ამ დროისათვის უკვე დამტკიცებული იქნება. პროვინციაში, გარდა უკვე დაგზავნილ ცირკულარებისა და ინსტრუქციებისა, ჩვენ ვავგზავნეთ კიდევ ინსტრუქტორები.

— არ შემიძლია არ აღვნიშნო,— ამბობს ამხ. ჯულელი, მელითონეთა გამოცდილება. მუშებმა თათბირებზე არა მარტო აღნიშნეს მთელი რიგი სერიოზული დეფექტები წარმოების მუშაობაში, არამედ დაახასიათეს ამ დეფექტების გამომწვევი მიზეზებიც, რომლებიც უმთავრესათ წარმოებების ორგანიზაციულ სტრუქტურაშია ჩამარხული.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ეგრეთ წოდებულ სპეც-ინჟინრების უმრავლესობის თანამშრომლობა; მათ, პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ ინჟინერთა სექციის სახით, მხურვალეთ მოკიდეს ხელი მუშაობას წარმოების ნაყოფიერების გადიდებისათვის.

მთელს საბჭოთა კავშირში კამპანია წარმატებით ჩატარდა. შევვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს პროლეტარიატი ასეთივე გამარჯვებას მოიპოვებს ახალ სამეურნეო ფრონტზე.

### რა დანაშაულისთვის ემუქრება?

(ქ. აღმასკომის საყურადღებოდ).

გოგოლის ქ. № 20 სახლში ორ მოწაფე ქალიშვილებს უკავიათ ერთი პატარა ოთახი. ეს სახლი კერძო პირისაა მღვდლის. პროვინციიდან ჩამოსულ საწყალ ქალიშვილებისაგან აგერ შვიდი თვეზე მეტია, რაც ოთახის ქირა არ გამოურთმევია. რატომ განა ქალიშვილებს არ მიუციათ? არა. შეძლებისდაგვარად ისინი ყოველთვიურად აწვდიან მას ქირას, მხოლოდ ბრჭყვიალა ოქროებს დაჩვეულმა მღვდელმა როდი იკადრა გროშები და ემუქრება გადასახლებით. ქალაქის აღმასკომო მიაქციე ამას ყურადღება.

ინფ. რეკე.

### რად ხდება ეს ასე?

(მუშკოოპის გამგეობის საყურადღებოდ)

ნაძალადევის უბანში არის კოოპერატიული დუქანი № 15 აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამმართველო აგზავნის თანამშრომელთა ჯამაგირს ადგილობრივ, ყველა დუქნებში, მხოლოდ გამონაკლისს შეადგენს ჩვენი დუქანი და მუშაობის შემდეგ დაღლილ მუშა-თანამშრომლებს უხდებათ გამგეობაში ჯამაგირის მიღებისთვის ზედმეტი დროის დაკარგვა. რად ხდება ეს ასე?

ინფ. ხ—უა.

### გახსენით კოოპერატივი

(მუშკოოპის და ზაკტპოს საყურადღებოდ).

დიდუბის უბანი დიდ გაჭირვებას განიცდიდა წინად უკოოპერატივობის გამო, მაგრამ ამას მიექცა ყურადღება და გახსნილ იქნა ერთი „ზაკტპოს“ დუქანი ანდრეევის ქუჩაზე და ერთი მუშკოოპის დუქანი კ. ცეტკინის ქუჩაზე. ამ დუქნების გახსნამ ძალიან დაალონა ვაჭრები, იმიტომ რომ ამის იქით მათ ხაფანგში არ მოხდება მყიდველი. მაგრამ დიდუბის ქვედა ნაწილის ვაჭრები კი განაგრძობენ ლაღათ ცხოვრებას და ძველებურად აძრობენ ტყავს მყიდველებს. აქედან მუშკოოპის დუქნამდე შორს არის და მეტი გზა არ არის უნდა ჩავარდნენ ვაჭრის ხელში. მუშკოოპმა ან ზაკტპომ უნდა გახსნან აქ ერთი დუქანი (დიდუბის ქუჩაზე) რომ აქაური ჩარჩები—ცოტათი მაინც აილაგმონ.

ინფ. გ. ოჩიგავა.

### ეს სიბინძურე უნდა მოისპოს

(სანიტარ. განყ. საყურადღებოდ).

ვორონცოვის ხიდის თავზე ვისაც გაუვლია, ალბად შეყნოსავდა იმ არა სასურველ და უსიამოვნო დამპალის სუნს, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ამ ხიდის თავზე. აქ ალბად მოგროვებულია რაღაც სიბინძურე. სანიტარულ განყოფილებავ, ეს არ არის ადეკალონის სუნი, რომ დილით გამვლელ მოქალაქეებს ესიამოვნოს. ეს არის დამპალის სუნი. ქენით სიკეთე და მოსპეთ.

ინფ. ფიტი.

# ქრონიკა

**შეცდომის გასწორება**

ჩვენი გაზეთის 23 სექტ. ნომერში ქრონიკაში შეცდომით მოთავსებულია: საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემცირებული იქნას ერთი მეოთხედით **უნდა იყოს:** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა ცალკე კომუნების სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეუმცირდეს 25 პროცენტით.

— **ცაკის სესიისათვის.** საქართ. ცაკის მესამე სესიისათვის მიღებულია შემდეგი წესრიგი: 1. ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება. 2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. 3. განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ. 4. ადგილობრივი საბჭოთა აპარატების შესახებ. 5. ა) საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ, ბ) ს. ს. ცაკის დებულების შესახებ, გ) სახალხო კომისართა საბჭოს დებულების შესახებ. დ) ცალკე სახალხო კომისარიატთა დებულების შესახებ. 6. დისციპლინარულ სასამართლოს შესახებ. 7. ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, რომელნიც იქნენ შეტანილნი კოდექსებში სესიიდან სესიამდე. 8. გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების შესახებ. 9. მიმდინარე საკითხები.

— **საქართველოს სახალხო** კომისართა საბჭოს სახელზე ბერლინიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ბადენში მყოფი ამიერ-კავკასიის სტუდენტობა ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს საქართველოს კონტრ-რევოლიუციონერების ავანტიურისტული გამოსვლის გამო და ესალმება პროლეტარიატის ახალ გამარჯვებას ჩვენ მტრებზე.

— **დაზღვეულთა წიგნაკების აღრიცხვა** ამ ჟამად სწარმოებს ადგილკომების საშუალებით და დამთავრდება 1 ოქტომბრამდე.

— **ქ. სასაკლაოსთან** ადგილობრივი მუშები ახლო ხანში გახსნიან საურთიერთო დახმარების კასას.

— **ტრამვაის სასამართლომ** შეადგინა მე-2 ბრიგადა ტრამვაის საჰაერო მავთულების შესაკეთებლათ.

— **ახალი საბინაო ამხანაგობა.** დამტკიცებული იქნა ახალი საიჯარო-საბინაო ამხანაგობები ერთი რუსთაველის პრ. № 6 და ერთიც არშაკუნის ჩიხი № 13.

— **მუცელას წინააღმდეგ.** ქალაქში ავადმყოფობა მუცელას (დიზინტერიის) გავრცელებას გამო, ტროპიულ ინსტიტუტთან შესდგა საგანგებო თათბირი მუცელასთან საბრძოლველათ.

— **ტრამვაიდან** აგვისტოს განმავლობაში მგზავრების გადაყვან-გადმოყვანით შემოვიდა სულ 142,802 მან. და 67 კ.

— **ცოფიანი შინაური ცხოველების წინააღმდეგ** საბრძოლველათ ჯანსახკომი ამ დღეებში იწვევს თათბირს.

— **ჯანსახკომმა** შეიმუშავა ინსტრუქცია მედიკურ-პერსონალის უფლება-მოვალეობის შესახებ.

— **ახალი მასწავლებლები.** განათ. კომისარიატის დადგენილებით თბ. პედაგოგიური ინსტიტუტის კურს-დამთავრეულები გაიგზავნენ სკოლებში სამუშაოთ.

— **ახალი სახელმძღვანელოები.** სოც. აღზრდის მთავარ გამგეობამ შეიმუშავა სკოლებში სახმარებლათ დაშვებული და ახალი სახელმძღვანელოების სია.

— **ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“ და ორკვირეული ბიულეტენი.** განათ. კომისარიატმა დაადგინა ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“ წელიწადში გამოსცეს 6 ნომერი, ხოლო კომისარიატის ბიულეტენი ორკვირაში ერთხელ.

— **სპეციალურ ტეხნიკუმების** კურსდამთავრებულნი განათ. კომ. დადგენილებით უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო ფაკულტეტებზე მიიღებიან გამოცდების ჩაუბარებლათ კლასობრივი პრინციპის დაცვით.

— **სპარსელი მოქალაქენი.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა მოსკოვში არსებული სპარსეთის წარმომადგენლობის შუამდგომლობა სპარსელ მოქალაქეთათვის საბუთების წარდგენის ვადის იანვრამდე გაგრძელების შესახებ.

— **გადასახადი ნოხებზე.** ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი ნოხებზე გადასახადის შესახებ თანახმად საზოგადო წესებისა.

— **მალულათ შემოტანილი საქონელი.** ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ მიიღო დადგენილება მალულათ შემოტანილ საქონლის ჩამორთმევის და აქედან აღებული თანხის განაწილების შესახებ.

**შემთხვევები**

— **შეპყრობა.** 23 სექტ. შეიპყრეს ჭინჭე ილია რაზმაძე, რომელსაც უნდოდა გაექურდა კონსტანტინე კაკურიას ბინა (სერგეევის ქ. № 1).

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 23 სექტ. დილით თათრის მოედანზე შეიპყრეს მაჰმუდ ნადირ-ოღლი, რომელმაც გრიგოლ მერაბოვს ჯიბიდან ამოაცალა 30 მანეთი.

— **ქურდობა.** 23 სექტ. დღით, სევანის შესახვევი № 6, გაქურდეს მოქ. მანიაშ ვართანოვის ბინა: წაღებულია 60 მანეთის ნივთები.

— **თავის დაჭრა.** 23 სექტ. დილით მილიუტინის ქ. № 10, რევოლვერით თავი დაიჭრა მარიამ ნერსესოვისამ. დაჭრილი გაუგზავნა საავადმყოფოში.

# საბჭოთა სასამართლო

## შანტაჟი

პირველ უბნის სახალხო სასამართლომ ა/წ. 23 სექტემბერს გაასამართლა მარგარიტა თაქთაქიშვილი, რომელსაც ბრალათ ედებოდა ს. ს. კ. 193 და 187 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებანი,—შანტაჟი და ქურდობა. ბოროტმოქმედება მოხდა შემდეგ პირობებში:

6 სექტემბერს ექიმ ივანე გომართელის ცოლს მოევლინა ვინმე მარგარიტა თაქთაქიშვილისა,—19 წლისა ქალი, საშუალო განათლების მქონე, მცხოვრები ქ. თბილისში ვარდისუბნის ქუჩაზე № 10 და ელენე გომართლისას, რომლის მეუღლე და სიძე გ. ციციშვილი იმ ხანათ დაპატიმრებულნი იყვნენ საქართველოს საგანგებო კომისიაში, განუცხადა, რომ მას საშუალება აქვს გადასცეს ექიმ გომართელს და გ. ციციშვილს საგანგებო კომისიაში მყოფ მისი მეგობრების საშუალებით ტანსაცმელი და სხვა ნივთები, რომლებსაც პატიმრები თხოულობენ ამავე ქალის,—თაქთაქიშვილისა და მისი „მეგობრების“ პირით. ე. გომართლისამ სიხარულით მიიღო ეს წინადადება და თან გამოკითხა მოულოდნელ მოციქულს თავის სიძის, ციციშვილის ამბავი, რომლის შესახებ ოფიციალურათ იყო ცნობილი, რომ იგი დახვრეტილია. ქალმა ავტორიტეტული კილოთი განაცხადა, რომ იგი ცოცხალია და რომ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ყალბია. ამის შემდეგ ქალს გაატანეს ქვეშსაგები, ტანსაცმელი, თეთრეული და 30 მანეთი ფულად. რამდენიმე დღის შემდეგ ელენე გომართლისამ შეეკითხა თაქთაქიშვილს,—გადასცა თუ არა მან ნივთები დანიშნულებისამებრ, რაზედაც ქალმა დადებითად უპასუხა. გაიდა რამდენიმე დღე. ივ. გომართელი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს და მხოლოთ მაშინ გამოირკვა, რომ მას არავისი პირით არაფერი შემოუთვლია და რომ არავითარი ნივთი მას არ მიუღია. ქურდი-ქალა დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნა. მილიციაში და სასამართლოს ძიებისას გამოირკვა, რომ მარგარიტა თაქთაქიშვილი,—ეს „ბრწყინვალე“ და განათლებული ქალი (დაუმთავრებია წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი) ათჯერ ყოფილა გასამართლებული ქურდობისათვის, რომ მას არავითარი კავშირი არ ქონია „ჩეკისტ-მეგობრებთან“ და რომ მისი მოციქულობა იყო შანტაჟი ნივთების მისაკუთრების მიზნით ჩადენილი. ნივთები მას მიუყიდნია უცხო პირებისათვის. ბრალდებულმა დამნაშავეთ სცნო თავისი თავი და მოითხოვა პატიება.

მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ქურდობის ყველა პირობები და აგრეთვე ის გარემოება, რომ ქურდობა ბრალდებულს გადაქცეული ჰქონდა ხელობათ, ს. ს. კ. ზემოხსენებულ მუხლების ძალით მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში ერთი წლით და სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

# პროვინციაში

## მშვიდობიანობა არ დარღვეულა (ხარაგოულის რაიონი)

ხარაგოულის ორგანიზაცია, ერთი საუკეთესო და ძველი ორგანიზაციათაგანია საქართველოში, რომელსაც საკმაო გავლენა ჰქონდა და აქვს მთელი რაიონის გლეხობაში და რკ. გზის მუშებში. მას საკმაოდ ყავს ძველი წევრები და ბევრი კარგი პარტიული და საბჭოთა მუშაკები აღუზრდია თავის რიგებში.

ჭიათურაში მომხდარ ამბების გაგებისთანავე ყველა კომუნარები ფეხზე დადგენ იარაღით ხელში. გაამაგრეს დაბა ხარაგოული, დაკავებულ იქნა მნიშვნელოვანი მაღლობები და გააძლიერეს საგუშაგოები.

დაპატიმრებული იქნენ ყველა საეჭვო პირები, რომლებსაც სათანადო გზა და ბინა მიეცათ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველ დღე ცხადდებოდენ უპარტიო გლეხები და თხოულობდენ იარაღს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ ჩვენთან ერთად და თანაც კითხულობდენ: „სამი წელიწადია გლეხობა წელში გავსწორდით და ვინაა ის არამზადები, რომ მოსვენებას არ გვაძლევენ“.

აქაურ ბნელ ძალებს კარგათ ჰქონდათ შეგნებული ხარაგოულის ორგანიზაციის ძლიერება, იცოდენ, რომ მის გარშემო ტრიალებდენ პარტიული და უპარტიო მუშები და გლეხები, რომელთა რისხვა მათ ყოველთვის აშინებდა და ვერც გაბედეს რაიმე გამოსვლის მოწყობა. დ. ხარაგოულსა და მის რაიონში სრული სიწყნარე სუფევდა. ამრიგათ, ერთხელ კიდევ დამტკიცდა ხარაგაულის რაიონის მუშების და გლეხების მტკიცე და ურყევი კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ს. თაბაგარი.

## სამალარიო ექსპედიცია სამეგრელოში

ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე 21 სექტემბერს ჯანმრთელობის კომისარიატის სასანიტარო საეპიდემიოლოგიო განყოფილების მიერ სამეგრელოში გაგზავნილ სამეცნიერო-სამალარიო ექსპედიციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ვორონინმა გააკეთა წინასწარი მოხსენება ექსპედიციის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

პროფ. ვორონინის გამოკვლევანი წარმოადგენენ დიდ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ინტერესს. გამოირკვა, რომ ექსპედიციის მიერ მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები, რომელთაც ექნებათ სახელმძღვანელო მნიშვნელობა მალარიასთან ბრძოლის დარგში.

ექსპედიციის მუშაობის განსაკუთრებულ ყურადღებით, პატივისცემით და დიდის თანაგრძნობით ხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც დიდი ზეიმით გამოისტუმრა ექსპედიცია. ადგილობრივი საზოგადოებრივი პარტიული, სახელმწიფოებრივი ორგანოები და მთელი ხალხი მადლობას სწირავდა საბჭოთა ხელისუფლებას, ჯანმრთელობის კომისარიატს და ექსპედიციის შემადგენლობას სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

იმ დიდ მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ექსპედიციის მუშაობას მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განმეორებულ იქნეს პროფ. ვორონინის მოხსენება ტროპ. სნეულებათა ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე.

ა. ნ.

## სოფელი სამადლო (თბილისის მაზრა)

სამადლოში ცხოვრობს ვინმე ზუბიევი, რომელსაც აქვს თავის საკუთარ სახლში მოთავსებული სავაჭრო ღვინით და სხვადასხვა მაგარი სასმელებით. აღნიშნულ ზუბიევს ყავს ცხვრის და მსხვილფეხა რქიანი საქონლის ჯოგები. ამასთან ერთად სარგებლობს მიწით თითქმის ნორმაზე მეტით. მიწას ამუშავებინებს ადგილობრივ გლეხობას სანახევროთ და ხან კი ქირით. აღსანიშნავია, რომ როდესაც მიწის რიფორმა ტარდებოდა ამ მაზრაში და ადგილობრივი მიწკომი მიწის მზომელთან ერთად ანაწილებდენ მიწებს, რაღაც მანქანებით ამ მსუქან მოვაჭრეს მიწა მოეზომა. ასეთ გაუგებრობას, ან ნათლიმამობას არ უნდა ექნეს ადგილი. დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას მიწა მოქ. ზუბიევს და გადაეცეს ნამდვილ მიწის მუშას, ვინც დაამუშავებს თავისი შრომით.

ი. ღლონტი.

## სოფ. ფხვენისი (გორის მაზრა)

ეს სოფელი არ არის ძალიან დიდი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა ყოველ მხრივ დაწინაურებულია. აქ არსებობს კოოპერატივი, რომელსაც განაგებს ამხ. პატარაშვილი. ეს პიროვნება მეტათ გულდასმით ეკიდება კოოპერატივის საქმეს და მთელი სოფელიც მისი კმაყოფილია. მთელი რიგი სოფლებისა, რომლებიც უახლოესნი არიან ფხვენისთან, ამავე კოოპერატივში ვაჭრობენ. ამხ. პატარაშვილმა დიდი ენერგია დახარჯა კოოპერატივის გასაუმჯობესებლათ და კიდევაც მიაღწია მიზანს. ახლა კოოპერატივის ხარჯზე გაყავს სოფ. ფხვენისში ელექტრონის სინათლე. წამოსვლისას პირადათ დავათვალიერე სოფ. ფხვენისი და ვნახე შემდეგი: მთელ სოფელში სათავიდან დაწყებული ბოლომდის უკვე ჩამწკრივებულია ბოძები; ახლო მომავალში ამუშავდება ელექტრომატორი ს. ფხვენისში და სინათლეს მიანიჭებს მას. გლეხობა ხალისით უჭერს მხარს ამხ. პატარაშვილს მის საქმიანობაში.

მუშის შვილი ვლ. დევიძე.

## სურამის საბჭოთა აფთიაქი

სურამს საუცხოვო აფთიაქი აქვს და შესაფერ შენობაშიაც არის მოთავსებული. მედიკამენტები საკმაოდ მოეპოვება. მაგრამ უნდა აღინიშნოს მეორე, არასასიამოვნო მხარე ამ აფთიაქისა, ზაფხულობით, როდესაც სურამში აურაცხელი ხალხი იყრის ხოლმე თავს, აფთიაქი თავის მუშაობას ვერ ასდის ხოლმე. არ ვიცით, ეს აფთიაქის შტატის სიმცირეს მივაწეროთ, თუ სხვა რამეს, მაგრამ ეს კია, რომ რეცეპტის მომტანს 3—4 საათი უხდებოდა ცდა, ხანდისხან თუ ამაზაც დააჯერეს. ეს გარემოება ძალიან არანორმალურად უნდა ჩაითვალოს. ჯერ ერთი, ამოდენა საათების განმავლობაში ავადმყოფს თავისი დაემართება, სანამ წამალს მიუტანდენ. მეორე, გლეხები, რომელნიც წამლისათვის ჩამოდიან სხვადასხვა, ხშირად შორეულ სოფლებიდან, იძულებული არიან მთელი დღე გაცდენ, ხოლო ავადმყოფს მიუსწრებს თუ არა წამალი, ალახმა უწყის. ამისათვის მე მოვაგონებ აფთიაქის მმართველს ამხ. ისიდორე კობალიას, რომ, ვინაიდან წრეულს უკვე გვიან არის და ეხლა არსებული შტატიც საკმარისია, საგაისო ზაფხულისათვის მაინც რაიმე იღონოს და ეს საკითხი როგორმე მოაგვაროს.

ე. გაგოშიძე.

## წითელარმიელები სოფლად

21 სექტემბერს სოფ. გურამიაანთკარში ადგილობრივათ მდგომ მე-3-ე ცხენოსანი პოლკის წითელ-არმიელების ინიციატორობით გამართულ იქნა საღამო-წარმოდგენა რევოლიუციონური პიესით. აღნიშნულ საღამოს მოსაწყობათ წ. არმიელების მიერ მოწვეულ იქნა ზაჰესის მუშკომის დრამატიული წრე. საინტერესო და აღსანიშნავია წითელ არმიელების მონდომა და მუყაითობა, რომლითაც მათ შესძლეს გლეხ-კაცის ჩვეულებრივ მძიმე მუშაობაში დაეკმაყოფილებინათ მათი კულტურული მოთხოვნილება. აღსანიშნავია აგრეთვე მათი სულისკვეთება: მიუხედავათ იმისა, რომ დადგმული პიესა ქართულ ენაზე იყო და არმიელებს არაგაეგებოდათ რა საუბრის დროს ასე განაცხადეს: „ჩვენ არაფერი გვიჭირს, ქალაქადაც ხშირათ ვიმყოფებით თეატრებში და კლუბებში და ჩვენ სწორეთ ასე გვინდოდა, რომ გლეხებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე ჩვენი აქ ყოფნის დროს გაგვემართა რამე, ეს ჩვენ პირადათ არ შეგვეძლო და ამიტომ მოგმართეთ თქვენა“-ო. წარმოდგენის დადგმამდე პოლკის კომისარმა ამხ. შუმილოვმა და ზაჰესის მუშკომის თავმჯდომარე ამხ. შიშინაშვილმა ვრცელი მოხსენებები გააკეთეს ქართულ და რუსულ ენაზე, მენშევიკების ავანტიურის და ბურჟუაზიის მორიგი ცდის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ. ისინი შეეხენ საქართველოს გლეხების მდგომარეობას წინეთ მენშევიკების დროს და ეხლა საბჭოთა ხელისუფლების დროს. განმარტეს შინაარსი და მიზანი მენშევიკების უკანასკნელი ბანდიტური „გამოსვლისა“. შემდეგ წარმოდგენილ იქნა გლეხების ცხოვრებიდან რევოლიუციონური (ბატონყმობის დროს) პიესა „როს ნადირობდნენ“ და ერთ მოქმედებიანი მხიარული კომედია „პარტია პურტია“, რითაც დამსწრე გლეხკაცობა კმაყოფილი დაიშალა,—ინტერნაციონალის მღერით და ტაშის ცემით.

კინკა.

# პროვინციის ქრონიკა

— **სამეურნეო იარაღები გლეხებისათვის.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწადმოქმედების კომისარიატის წინაშე, 300 ცალის ვერმორელის აპარატის 300 ცალი გოგირდის სასხურებელ მანქანის 150 ცალი გუთნების და 300 ცალი სამყნელი დანის გადაცემის შესახებ.

— **იურიდიული დახმარება გლეხებს.** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს იურიდიული რჩევათა ბიურო და ამ საქმის ხელმძღვანელათ მოიწვიოს გამოცდილი იურისტი.

— **თვითდაბეგვრის კამპანია.** ახალციხის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ჩაატაროს გლეხებში თვითდაბეგვრის კამპანია.

— **ინვალიდების კომუნა.** ახალციხის მაზრაში შესდგა ინვალიდთა კომუნა, რომელშიაც ირიცხება 21 წევრი.

— **ჰოკიანის აბანო.** ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა აგარაკ ჰოკიანის აბანოსთან ააგო რამდენიმე ხის შენობა და გაამშვენიერა აგარაკი.

# წერილები რედაქციის მიმართ

როგორც ქართველი მწერალი ვესალმები და სავსებით ვიზიარებ 23 ამ თვეს გაზ. „კომუნისტში“ (№ 217) მოთავსებულ ქართველ ხელოვანთა კულტურულ კავშირის განცხადებას.

ამ კავშირთან ერთად მეც ვგმობ 28—29 აგვისტოს მომხდარ ზოგიერთ ჯგუფების უგნურ და ავანტიურულ გამოსვლებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა უკვე მეოთხე წელია რაც მედგრათ ეწევა ჩვენში შემოქმედებით მუშაობას ე კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. ამიტომ ასეთი გამოსვლები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მე მიმაჩნია ჩვენი ქვეყნის დიდ ზიანად და ქართველი ერის ღალატათ.

სიმონ ქვარიანი.

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ „კომუნისტი“-ს უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

მე ვირიცხებოდი ს. დ. პარტიაში 1917 წლიდან 1920 წლამდე, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არავითარი დამოკიდებულება ამ პარტიასთან არა მქონია.

ამ დროს განმავლობაში დაკვირვებამ დამარწმუნა პარტიის კონტრ-რევოლიუციონერობაში. ამ ბოლო დროს კი ავანტიურის შემდეგ საბოლოოთ აშკარა გახდა ეს. ამისათვის ვტოვებ რა ზემოხსენებულ პარტიას, სრულის ჩემი შეგნებით ვუერთდები ყოფილ მენშევიკების კონფერენციის დადგენილებას (აგვისტო 1923 წელი) სა) და მთელი ჩემი ენერგიით ვეცდები ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლებას მის აღმშენებლობითი მუშაობაში მშრომელთა საკეთილდღეოთ.

მელქისედეკ მახარაძე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდენ ამხ. ვიქტორ შოთაძეს და მიხეილ [illegible].

**ს. კ. პ. ტ. კ. საალრიცხვო-განმანაწ. განყოფილება.**

ს. კ. ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მეძმარიაშვილს, ი. ბახტაძეს, დიდიძეს და გ. ნუცუბიძეს გამოცხადდენ დღეს 25 სექტემბერს დილის 10 საათზე საგ. საპრ. განყოფილებაში.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ საკლუბო საბჭოს სხდომაზე დღეს 25 სექტემბერს, დილის 9 საათზე: იგნატოვი, პიტერსკი, ბუხნიკაშვილი და ჭელიძე.

ყველა დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

**თბილ. კომიტ. სააგიტ.-საპრ. განყოფილება.**

# განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ფალავასი, გიორგი ალექსანდრესძე ნანეიშვილი, გიორგი (იური) მელქისედეკის ძე და ვერა გიორგის ასული ფალავა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა პირველისა და მეორის საყვარელი დედა, მესამის სიდედრი და უკანასკნელის ბებია

**მარიამ სოლომონის ასული ნანეიშვილისა**

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გასვენება მოხდება პარასკევს ამა წლის 26 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2156 1—1

ღრმად დამწუხრებული ყარამან თეიმურაზის ძე და სალომე მანუჩარის ასული ნანეიშვილები და შვილები მარიამი, სიმონი, კონსტანტინე და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა პირველისა და მეორის საყვარელი რძალი და უკანასკნელთა დაუვიწყარი აღმზრდელი ბიცოლა

**მარიამ სოლომონის ასული ნანეიშვილისა**

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გასვენება მოხდება პარასკევს ამა წლის 26 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2156 1—1

## შრომის სკოლების მასწავლებლების საყურადღებოდ

**ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარი გამგეობა**

ამით აცხადებს

შრომის სკოლების პედაგოგიური პერსონალის საყურადღებოთ, რომ მიუხედავათ შრომის სკოლებში მეცადინეობის დაწყების ვადის გადატანისა ა. წ. 1 ოქტომბრისათვის მასწავლებლობა მოვალე იყო გამოცხადებულიყო სკოლებში თანახმად განკარგულებისა 10 ენკენისთვეს წინასწარ მუშაობის ჩასატარებლად. დღეს-კი, როგორც გვაცნობებენ ბევრი მასწავლებელი კიდევ არ გამოცხადებულა სკოლაში.

ვთვლით რა ასეთ მოვლენას დაუშვებლათ, ვთხოვთ სკოლის ყველა მუშაკს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს თავის მოვალეობის ასასრულებლად.

**სახსახკომის სოც.-აღზრდის მთავარი გამგეობა.**

ნ. 1566. 2—2.

# ყურადღება!

## „კომუნისტი“-ს პრემიების დარიგება

გუშინ და გუშინწინ ჩვენ დავურიგეთ სამი და ექვსი თვის ხელისმომწერთ დაპირებული უფასო პრემიები.

ყველა ხელისმომწერთ ხვალ დაურიგდებათ „კომუნისტი“-ს სალიტერატურო-სამხატვრო ორკვირეული უფასო დამატება „ჩირაღდანი“-ს მე-17 №

## მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. წლის ბოლომდი—1 მან. 80 კაპ.

## ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

| თბილისში (ბინაზე მიტანით) | |
|---|---|
| თვით | 85 კაპ. |
| 2 „ | 1 მან. 60 „ |
| წლის ბოლომდი | 2 „ 40 „ |

| პროვინციაში (გაგზავნით) | |
|---|---|
| 1 თვით | 95 კაპ. |
| 2 „ | 1 მან. 80 „ |
| წლის ბოლომდე | 2 „ 70 „ |

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

ამნაირად ხელის მოწერის პირობები რჩება ძველი, ხოლო ოქტომბრის პირველიდან გაზეთის თითო ეკზემპლიარი ეღირება 5 კაპ.

**ტფილისის საბირჟო კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ ტფილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 82 მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „კომუნისტი“-ს 19 სექტემბრის 214 №-ში, ამა თვის 20-დან შემოღებულია

**ადგილობრივი გადასახადი საფონდო და საქონლის გარიგებებზე**

გადასახადი ვრცელდება როგორც საბირჟო, ისე ბირჟაზე რეგისტრაციაში გატარებულ ბირჟის გარეშე გარიგებებზე (ერთი მეოცედი პროც. ფართო მოხმარების ნივთებზე და ერთი მეათედი პროც. დანარჩენ-საქონელზე).

**გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს გარიგების რეგისტრაციის დროს.**

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: გ. აგაბაბოვი.
ნ. 1569 2—1 მდივანი: ვ. ჯაფარიძე.

**იყიდება**

სკოლებში სახმარებელი **სახელმძღვანელოები, გამოცემა საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის „ცეკავშირის“:**

**ქართველი მწერლები**

წიგნი პირველი, შრომის სკოლის მეხუთე წლის კურსი, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. ფასი 1 მან.

**მეგობარი**

შრომის სკოლის მესამე წლის სრული კურსი, შედგენილი თ. კიკვაძის და გ. ჭუმბურიძის მიერ. ფასი 1 მან.

**იბეჭდება და მოკლე ხანში გასასყიდად გამოვა ქართველი მწერლები**

ნაწილი მესამე, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. წიგნები იყიდება როგორც ცალობით, ისე ბითუმად. ბითუმად წამღებთ დაეთმობათ სათანადო პროცენტები. **მისამართი:** ცეკავშირი, შტაბის ქ. № 4—6, ცეკავშირის საწყობი № 2.

ნ. 1568 2—1

## საქართველოს სასინჯადო სამმართველოს სასინჯ ოპერაციების საფასურის გადახდის ცხრილი

| ოპერაციების სახელწოდება | ფასები |
|---|---|
| 1. ოქროს ნაწარმოებების გასინჯვისა და დადაღვისათვის თვითეულ მისხალზე | 60 კაპ. |
| 2. ვერცხლის ნაწარმოებების გასინჯვისა და დადაღვისათვის | 3 „ |
| 3. სუსალურ ლითონების გასინჯვისა და დადაღვისათვის წიგნაკებში—თვითეულ მისხალზე ქაღალდით. | |
| ა) ოქროსი | 1,5 |
| ბ) ორეულზე | 0,75 |
| გ) ვერცხლი | 0,2 |
| 4. იმ ნაწარმოებებზე, რომელიც შეიცავს ოქროს და ვერცხლს ერთად, სასინჯო გადასახადი წესდება იმ დალის მიხედვით, რომელიც დასმული იქნება ნაწარმოებზე. | |
| 5. ოქროს ზოდების, ნაჭრების ფურცლების, და მავთულის გასინჯვისათვის: | |
| წონით 30 მისხლამდე თვითეულ სასინჯზე | 2 მან. |
| წონით 30 მისხალზე ზევით თვითეულ მისხალზე | 6 კაპ. |
| წონით 2 გირვანქ. ზევით თვითეულ მისხალზე | 0,5 კაპ. |
| 6. ვერცხლის ზოდების, ნაჭრების, ფურცლების და მართულ მაგვარი გასინჯვისათვის: | |
| წონით 2 გირვანქამდე თითო სინჯი | 1 მან. |
| წონით 2 გირვანქამდე ზევით მისხალზედ | 0,5 |
| 7. იმ ზოდებზე, რომელიც შეიცავს ოქროს და ვერცხლს (მოოქვრილი ვერცხლი და მოვერცხლილი ოქრო) სასინჯადო გადასახადი წესდება თვითეულ ლითონზე ცალ-ცალკე (იხ. მუხ. 6). | |
| 8. ჯიბის საათების ან მათი კორპუსების გასინჯვისა და დადაღვისათვის ცალზე: | |
| ა) ოქროს დიდი (რომლის ციფერბლატის დიამეტრი აღემატება 33,5 მილიმეტრ. მეტს) | 6 მან. |
| ბ) ოქროს პატარა (რომლის ციფერბლატის დიამეტრი უდრის 33,5 მილიმეტრამდე) | 3 მან. |
| გ) ვერცხლის | 1 მან. |
| 9. ოქროს, მოოქვრილ ვერცხლის ან მოვერცხლილ ოქროს თვითეული გასინჯვისათვის—მისხალის ერთიმეექვსედი სასინჯ სისწორით | 1 მან. |
| 10. ვერცხლის თვითეული გასინჯვისათვის მშრალად | 40 კაპ. |
| 11. „ „ „ სველად | 3 მან. |
| 12. ოქროს და ვერცხლის ნაწარმოებების ექსპერტიზის მოსახდენად სასინჯის და დალის შესამოწმებლად, როდესაც ასეთებს წარმოადგენენ სასინჯადო სამმართველოში ამ ნაწარმოებების ყიდვა-გაყიდვის დროს, გადახდევინებული იქნება მთელი იმ ჯამის 20 პროც., რომელიც ხდებათ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ნაწარმოებების გასინჯვისა და დადაღვისათვის. | |

საქართვ. სასინჯადო სამმართველოს უფროსი ბ. ჩიჩინაძე.
ნ. 1560. 1—1

## სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის

### თბილისის განყოფილება

იტყობინება, რომ წლიური ანგარიშის წარმოების და ახალ ბინაზე (სომხური ბაზარი, № 62), გადასვლის გამო, განყოფილება სავაჭრო ოპერაციებისათვის დაკეტილი იქნება **26 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.**

დაკეტილი იქნება აგრეთვე **საბითუმო-საწვრიმალო მაღაზიაც, 26-დან 30 სექტემბრამდე.**

სინდიკატების თბილისის განყოფილების გამგე ა. ფ. რაჟდესტვენსკი.
1563. 3—3.

ელექტრონით და სინათლით

## სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

**მიხეილ გედევანიშვილის სახელობის**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ

ლება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
№ 2095—25—5

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.**

**მიღება:** დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 2100 25—5.

ექიმი

**ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.
№ 2005 25—10.

ექიმი

**გ. გ. მეგრაბიანი**

შინაგანი, გულისა და პლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

**რენტგენის სხივებით**

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—9

ექიმი

**ე. გ. მძინარიშვილი**

**რუსთველის პროსპექტი № 18** (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი**

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.
ქვ. № 2046 25—8

ექიმი

მედიცინის დოქტორი

**ა. ა. მონსე**

**ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას**

**ელექტრო-სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2
ქვ. № 2052—25—8

**დაიკარგა** საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის საწევრო წიგნაკი № 3502, შრომის ბირჟის წიგნაკი № 950, დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 950 უმუშევარ ქეთევან აქვსენტის ასული ბუაჩიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** ქალ. თბილისის ლომბარდის ქვითარები №№ 2.530—2.967 ილარიონ ლაშხმა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 ქვ. № 2.149

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 1.456 ხონის აღმასკომიდან მოცემული და აღრიცხვის ნუსხა ნიკოლოზ ანტონის ძე ფიოლიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 ქვ. № 2.150

**დაიკარგა** წიგნაკი მოცემული შრომის ბირჟის მიერ სიმონ დოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 ქვ. 2.151

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭუტიძის სახელობაზე № 1274 ა/წ. 12 სექტ. გაცემული ოზურგეთის რაიაღმასკომიდან. ჩაითვ. გაუქმებულად. 1—1 № 2.152

**დაიკარგა** მეტრიკული მოწმობა № 282 და ქუთაისის სამხედრო კომისარიატიდან მოცემული სამხედრო ბეგარის მოწმობა აკაკი გიორგის ძე პელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 ქვ. № 2,153

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოცემული „ტცმოს“-საგან გამგის მიერ, ოლღა ილარიონის ასულ ალაჯანაშვილის სახელზე, აგრეთვე სამგზავრო ბილეთი „ტცმოს“ სახელობის № 3.069 ჩაითვ. გაუქმებულად. 1—1 № 2.154

**დაიკარგა** მეტრიკული მოწმობა აღებული ხონის აღმასკომიდან, გერასიმე ვლადიმერის ძე ჩარგეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 2157

**დაიკარგა** მოწმობა პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტის ან. ბაქრაძის სახელზე მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 2158

**დაიკარგა** სალექციო წიგნაკი № 1050 და პირადობის მოწმობა მოცემული თბილ. სახელმწ. უნივ. მარიამ აბდუშელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 ქვ. № 2163

**დაიკარგა** მეტრიკული ამონაწერი № 2095 მიღებული 1920 წელში გიორგი ჯაგანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 ქვ. № 2164

**დაიკარგა** პირადობის წიგნაკი გაცემული ნოქალაქევის რაიაღმასკომისგან № 149 ვლადიმერ [illegible] ძე ბარკალაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 2162

**დაიკარგა** მანდატი გამოცემა. საქ. ახ. გაზ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტისა, № 16331, კავშირის წიგნაკი № 10015 რეგისტრაციის ქაღალდი „ჩონში“ მოცემული ერმილე ჩხარტიშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 2159

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა ფილიპე პავლეს ძე ბარამიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 2160

სტამბა „ზარია ვოსტოკას“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.